ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

„რომ მოვედი, დაჩეხილი იწვა თოვლში უსულოდ. უმცროსი ჩაცუცქული ტიროდა“


გვ.7

რას ყვება ძმის მიერ მოკლულის დედა

5 მარტიდან

ჟიულ ვერნი

იდუმალი კუნძული

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




პარასკევი, 8 მარტი, 2019 №56 (8010) ფასი: 60 თეთრი

# „ოცნება“ ვადამდელი არჩევნებისთვის ემზადება


გვ.2

მმართველ პარტიას ახალ სახეებს უცხოური კომპანია შეურჩევს


გვ.3

## ირაკლი კობახიძე მამუკა ხაზარაძეს ემუქრება

„ისე დაამთავრებს, როგორც ოქუაშვილმა დაამთავრა“

## მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილს გახარია პრემიერად არ სჭირდება“


გვ.3

## საპატრიარქო ციანიდის საქმის გასაჯაროებას ითხოვს


გვ.2

## ადა მარშანია: „უნდა ვიაროთ კრემლში და რუსეთთან მჭიდროდ ვითანამშრომლოთ“


გვ.4


გვ.5

## ლევან ალაფიშვილი: „ანაკლიის პროექტი საზოგადოებამ უნდა დაიცვას“

სამართალი გვ.7



პროკურორი: „გიორგი ქადაგიძემ განაცხადა, რომ თიბისის შემოწმების პროცესი არ ახლოვს“




ლიბერთის დაყაჩაღებისთვის პოლიციელი ომარ ხუხუაა დაკავებული



სადახლოსა და წითელ ხიდზე 93.040 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს

ეკონომიკა გვ.6

ლევან დავითაშვილი: „მე პირადად ვიყავი ჭიათურაში და იქ მართლა კატასტროფაა“



იაგო ხვიჩია: „არავის მოეთხოვება იმდენი თავისუფლებისთვის ბრძოლაში, რამდენიც კოკა-კოლას“



ჭყონია: „ამათ რომ ხმა ამოიღეს, ხომ კრამიტები დაამტვრიეს“



ISSN 1987-9385


2 „ყველა მინუს ივანიშვილი“ – ოპოზიციური პარტიები სამოქმედო გეგმაზე შეთანხმდნენ

4 ხუხაშვილი: „ხელისუფლება სუიციდისკენ არის მიმართული და ყველა ნაბიჯი მათ აღსასრულს აახლოებს“

5 ფადი ასლი: „საქართველოს ინვესტორები არ ჰყავს, ამიტომ უცხოელებზე მიწის მიყიდვის აკრძალვა ინვესტიციებს ვერ აფერხებს“

6 აფხაზეთის ომის ვეტერანები უშიშროების საბჭოს შეკრებას მოითხოვენ

# „ოცნება“ ვადამდელი არჩევნებისთვის ემზადება

## მმართველ პარტიას ახალ სახეებს უცხოური კომპანია შეურჩევს

შორენა მარსაგიშვილი

მმართველ პარტიაში დიდი ფაციფუცია. ქვეყნის მთავარი მეოცნებე ბოლო დროს საეჭვოდ არის გააქტიურებული, „ოცნების“ კულუარებში ამბობენ, რომ ის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება.

ბიძინა ივანიშვილი რომ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს დათანხმდა, ამაზე „ახალი თაობა“ ჯერ კიდევ მაშინ წერდა, როცა მმართველ პარტიაში პოლიტსაბჭოზე ეკა ბესელიასა და სხვა ამბოხებულების წასვლა-არწასვლის საკითხი განიხილებოდა.

„ოცნებასთან“ დაახლოებულმა წყარომ მაშინ „ახალ თაობას“ უთხრა, რომ მმართველ პარტიაში უკვე დაიწყეს ვადამდელისთვის მზადება. მოგვიანებით „ოცნებაში“ სათადარიგო ვარიანტიც შემოაგდეს – ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ივანიშვილი მაჟორიტარული წესის გაუქმებას დათანხმდა. ასეთ შემთხვევაში არჩევნები 2020 წელს ჩატარდებოდა.

ეტყობა, „ოცნებაში“ ისევ ვადამდელი არჩევნებისკენ გადაიხარნენ. ივანიშვილი რომ ვადამდელს დათანხმდა, ამ ინფორმაციას ინფორმირებული წყარო ახლა უკვე ნიუპოსტს აწვდის.

ნიუპოსტის წყაროს ინფორმაციით, ივანიშვილი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შესაძლებლობას ჩატარებას განიხილავს. როგორც კულუარებში საუბრობენ, „ქართულ ოცნებას“ 2020 წლისთვის კიდევ უფრო მძიმე პოლიტიკური დღის წესრიგი ელოდება, რაც ივანიშვილის გუნდის ცალსახა დამარცხებას გამოიწვევს.

მმართველ პარტიას სერიოზულ თავისტკივილად ექცა გაერთიანებული ოპოზიციის მოთხოვნა. ოპოზიცია არჩევნების ჩატარებას პროპორციული წესით ითხოვს, რასაც ხელისუფლება ჯერ არ თანხმდება.

მათ უარს ოპოზიცია ხელმოწერების შეგროვებით პასუხობს. მაისამდე ისინი მილიონი ხელმოწერის შეგროვებას აპირებენ. ოპოზიციის მოთხოვნას მხარს უჭერენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები.

როგორც „ახალი თაობის“ წყარო ამბობს, ივანიშვილს განსაკუთრებით ეშინია არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარების. ვადამდელი არჩევნების ჩატარების შემთხვევაში მაჟორიტარული არჩევნები შენარჩუნდება.



საქმე ის არის, რომ ოპოზიციას ხელმოწერების შეგროვების ვადა მაისამდე აქვს და, პროცედურული ვადების გათვალისწინებით, საპარლამენტო განხილვა საშემოდგომო სესიაზე დაიწყება. ამიტომაც უპრიანი იქნება ვადამდელი არჩევნები. ვადიანი არჩევნების შემთხვევაში „ოცნებას“ მაჟორიტარულის გაუქმება მოუწევს.

„ოცნება“ რომ ვადამდელი არჩევნებისთვის ემზადება, ეს მოსაზრება პარტიაში ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნებამაც გაამყარა.

გუშინ, 7 მარტს, ცნობილი გახდა, რომ ივანიშვილმა თანაპარტიელებს ახალი სახეების მოძებნა დაავალა. ახალი სახეები კახა კალაძემ, გიორგი გახარიამ და მეორედ მოსულმა ირაკლი ღარიბაშვილმა უნდა მოიძიონ.

მათ გარდა, ახალი სახეების მოძიება კერძო კომპანიასაც დაევალა. ცნობილი ხდება, რომ „ოცნებამ“ უცხოური კომპანია უკვე შეარჩია. ახალი სახეების მოძებნა კახა კალაძეს დაევალა.

ამ ინფორმაციას მმართველი პარტიის წარმომადგენლებიც ადასტურებენ. პარლამენტის ვიცესპიკერი გია ვოლსკი ამბობს, რომ უცხოელი კონსულტანტები მათ საზოგადოებასთან ურთიერთობაში დაეხმარებიან.

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის თქმით, „ქართული ოცნების“ მთავარი ამოცანა განახლებაა.

უცხოელი კონსულტანტების დაქირავების ფაქტს, ვოლსკისგან განსხვავებით, პირველი კანონმდებელი არ ადასტურებს, ამასთან, ის ამბობს, რომ მომავალი არჩევნებისთვის პარტია სერიოზულად უნდა განახლდეს.

– გუნდის განახლებაზე საუბრობდა ბატონი ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ის დაუბრუნდა პარტიის თავმჯდომარის პოზიციას, ასევე მოგვიანებითაც არაერთხელ უსაუბრია მას ამაზე. რა თქმა უნდა, „ქართული ოცნების“ განახლება, განსაკუთრებით 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში, ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

რაც შეეხება თვითონ შერჩევის პროცესს, ეს არის პოლიტიკური საკითხი, პოლიტიკური პროცესი, აქედან გამომდინარე, საკადრო გადაწყვეტილებები მიიღება პოლიტიკური პროცესის საფუძველზე. რა თქმა უნდა, ზოგადად შესაძლებელია სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება ამ შერჩევის პროცესში, მაგრამ, რაც შეეხება კომპანიას, ამ ინფორმაციას მე ვერ დავადასტურებ, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მან პარტიაში ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნების მიზეზებზეც ისაუბრა. მას მიაჩნია, რომ ყოფილი პრემიერი „ოცნებას“ გააძლიერებს.

– ირაკლი ღარიბაშვილს აქვს ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი შეტანილი ძალიან მნიშვნელოვან ეტაპზე ჩვენი ხელისუფლების გაძლიერებაში, პარტიის გაძლიერებაში, ქვეყნის განვითარებაში. მას აქვს ძალიან დიდი რესურსი, რომ წვლილი შეიტანოს პარტიის გაძლიერებაში. ჯერ კიდევ შარშან პარტიის თავმჯდომარე საუბრობდა იმაზე, რომ ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი პარტიის გასაძლიერებლად და, ბუნებრივია, ამ კუთხით ირაკლი ღარიბაშვილს შეუძლია, ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მმართველი პარტია მთაწმინდის ოლქში შუალედური არჩევნებისთვისაც ემზადება.

შუალედური არჩევნებისთვის ემზადება ოპოზიციაც. მათ გუშინ, 7 მარტს, დახურულ შეხვედრაზე კონსულტაციები გამართეს. შეხვედრას ესწრებოდა როგორც საპარლამენტო, ასევე არასაპარლამენტო ოპოზიცია.

შეხვედრის დეტალებს ოპოზიცია არ ამხელს. ამბობენ, რომ ერთ რამეზე შეთანხმდნენ. ამ შეთანხმებას ასე ჰქვია – ყველას მინუს ივანიშვილი. დეპუტატ ნიკა მელიას თქმით, შექმნილ ვითარებაში ეს ერთადერთი გამოსავალია.

– ფორმულა, ყველა მინუს ბიძინა ივანიშვილი, უკვე ხედავთ, რომ ხდება ძალიან მიმზიდველი და ერთადერთი გამოსავალი. შესაბამისად, აქედან ამოვდივართ ყველა პასუხისმგებლობის მქონე ოპოზიციური პარტია. შესაძლებელია, როგორც მინიმუმ და ეს აუცილებლად მოხდება, ხელისუფლებას კიდევ ერთხელ ჩამოვხსნათ რამდენიმე ნიღაბი, რომელიც მას სახეზე ჯერ კიდევ შემორჩა, – განაცხადა ნიკა მელიამ.



# საპატრიარქო ციანიდის საქმის გასაჯაროებას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის საქმესთან დაკავშირებით, შესაძლოა, კიდევ ახალი სკანდალების მოწმენი გავხდეთ. საქმე, რომელიც პროკურატურას საგანგებოდ აქვს გასაიდუმლოებული, სავარაუდოდ, გასაჯაროვდება.

ამ საქმის გასაჯაროება საპატრიარქომ ჯერ პროკურატურას სთხოვა. საგამოძიებო უწყებამ ამაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ ეკლესიამ უკვე უზენაეს სასამართლოს მიმართა.

გუშინ, 7 მარტს, ცნობილი გახდა, რომ საქართველოს საპატრიარქომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ მზია თოდუას განცხადებით მიმართა და სთხოვა, გაასაჯაროოს ციანიდის საქმესთან დაკავშირებული მასალები.

– მოგმართავთ შემდეგი თხოვნით: მოგეხსენებათ, ციანიდის საქმეს“ ადევს გრიფით საიდუმლო, რაც ზოგიერთ პიროვნებას საშუალებას აძლევს სხვადასხვა ინტერპრეტაციის გაკეთებისა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანისა.

მართალია, კანონი კრძალავს აღ-



ნიშნული სახის მასალების გასაჯაროებას, მაგრამ შექმნილი ვითარების ფონზე იქნებ იქნას გამონაკლისი დაშვებული, გასაჯაროვდეს ეს დოკუმენტები და ყველას მიეცეს საშუალება, გაეცნოს საქმის რეალურ მდგომარეობას, მით უმეტეს, რომ ამის მოსურნეა როგორც ბრალდებულის, ისე დაზარალებულისა და მოწმის მხარე, ამის მოსურნეა საქართველოს საპატრიარქო და საზოგადოება, – ვკითხულობთ საპატრიარქოს მიერ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლისადმი გაგზავნილ განცხადებაში.

საპატრიარქოს წერილს ციანიდის საქმეზე „საიდუმლო“ გრიფის ახსნის თაობაზე უზენაეს სასამართლოში გამოეხმაურნენ.

თაიმერის ინფორმაციით, სასამართლოს პრესსამსახურმა განაცხადა, რომ წერილი მიიღეს, ამ ეტაპზე საკითხი შესწავლის პროცესშია.

მათივე ცნობით, მომავალ კვირას საპატრიარქოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, მზია თოდუას დასაბუთებული წერილობითი პასუხი გადაეგზავნება.

ციანიდის საქმეზე გრიფის მოხსნაზე საპატრიარქო მას შემდეგ ალაპარაკდა, რაც მამა გიორგი მამალაძის სკანდალური წერილის შესახებ გახდა ცნობილი. ეს წერილი მამა გიორგიმ ერთი წლის წინ რამდენიმე მღვდელმთავარს გაუგზავნა. გავრცელებული ინფორმაციით, იქ სკანდალური ფაქტებია მოყვანილი.

საპატრიარქო თავის დროზე თავად აპირებდა ციანიდის საქმის შესწავლას. სინოდი სპეციალური კომისიის შექმნასაც კი აპირებდა, მაგრამ მერე რატომღაც გადაიფიქრეს.

ამასობაში ციხეში მყოფი დეკანოზის მდგომარეობა გაუარესდა. მამა გიორგის ინსულტი დაემართა. ის ვერ ამოძრავებდა მარჯვენა ხელსა და ფეხს. საპატრიარქომ მხოლოდ ამის შემდეგ მისცა დეკანოზს ზიარების უფლება.

# „ყველა მინუს ივანიშვილი“ – ოპოზიციური პარტიები სამოქმედო გეგმაზე შეთანხმდნენ



შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით პროდასავლური ოპოზიციურ პარტიებს შორის დახურული კონსულტაციები გაიმართა. ნაციონალური მოძრაობა, „ევროპული საქართველო“ და პარლამენტს გარეთ მყოფი პოლიტიკური პარტიები თანხმდებიან, რომ არჩევნების დროს ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან.

ნიკა მელიას თქმით, „ყველა მინუს ივანიშვილი“ არსებული მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია.

– ფორმულა, ყველა მინუს ბიძინა ივანიშვილი, უკვე ხედავთ, რომ ხდება ძალიან მიმზიდველი და ერთადერთი გამოსავალი. შესაბამისად, აქედან ამოვდივართ ყველა პასუხისმგებლობის მქონე ოპოზიციური პარტია. შესაძლებელია, როგორც მინიმუმ და აუცილებლად ეს მოხდება, ხელისუფლებას კიდევ ერთხელ ჩამოვხსნათ რამდენიმე ნიღაბი, რომელიც ჯერ კიდევ სახეზე მას შემორჩა, – განაცხადა ნიკა მელიამ.

ოპოზიციის ერთიან, კოორდინირებულ მუშაობაზე ამახვილებს ყურადღებას „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“ გენერალური მდივანი გიგი უგულავა.

– ამოსავალი წერტილი არის შემდეგი, რომ ოპოზიციურმა კანდიდატებმა ერთმანეთს ხმები არ უნდა წაართვან და ჩვენ ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ უკვე ამ არჩევნებზე მარცხი იწვნიოს ქართულმა ოცნებამ.“ შესაბამისად, სადაც ძლიერი კანდიდატი ჰყავს ერთ პარტიას, ჩვენ იმას მივეხმარებით, სადაც ძლიერი კანდიდატი ჰყავს ევროპულ საქართველოს, იქ სხვა პარტიები დაგვიჭერენ მხარს და სწორედ ამ სქემაზე და ურთიერთდახმარებაზე კოორდინაციაზე გვაქვს საუბრები სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებთან, – განაცხადა გიგი უგულავამ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილს გახარია პრემიერად არ სჭირდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მოძრაობის „ძალა ერთობაშია“ ერთ-ერთი ლიდერი **მამუკა გამყრელიძე** პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, მამუკა ხაზარაძესთან ერთად ტვ პირველსაც უტევენ. ეს ყველაფერი რამდენად კავშირშია ერთმანეთთან? გახარია კვლავ ხუმრობის ხასიათზეა, რა ხდება, რა ჩაიფიქრა ივანიშვილმა?***

– დღეს მაგიდაზე დადებულია ფსონი 2020 წლის არჩევნებისა. ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ 2020 წელს ივანიშვილმა შეინარჩუნოს ძალაუფლება. აქ ლაპარაკი არ არის „ქართულ ოცნებაზე“. აქ საუბარია ივანიშვილის მიერ ხელისუფლების შენარჩუნებაზე. რა კონფიგურაციით მიაღწევს ამას? როგორც ჩანს, ახლა ცდილობს, მოსინჯოს სხვადასხვა ვარიანტი. მე არ მჯერა არც ბესელიასი და არც ძველების, რომლებიც გადიან ვითომ ნაწყენები და ასე შემდეგ.

***– რატომ არ გჯერათ?***

– თან გადიან და თან იძახიან, დიდება ივანიშვილსო. ეს იმდენად სამარცხვინო საყურებელია, რომ რა გითხრათ. ძველებისა და ახლების გუნდებად ყოფს „ქართულ ოცნებას“. გარდა ამისა, ის შეეცდება ზემოქმედებას სხვა ოპოზიციურ პარტიებზეც ფინანსური ბერკეტების საშუალებით. იქნება შანტაჟიც მათზე, ვისზეც ხელი მიუწვდება. ამაში ჩართული იქნებიან ძალოვანი სტრუქტურები და პირველ რიგში ეს იქნება გახარია. ის არის ივანიშვილის მთავარი საყრდენი.

ყველა ვხედავთ ამ პროცესს. იქ საბანკო სისტემას დაესხნენ თავს, იქ ტელევიზიას ემუქრებიან. მედიას მაქსიმალურად შეავიწროებენ, ამაში ეჭვი არ მეპარება.

***– საშიშია თავისუფალი მედია?***

– რა თქმა უნდა. რუსთავი 2 თამაშობს გარკვეულ როლს და საინტერესო როლს თამაშობს ტვ პირველი, იმიტომ რომ ის ხალხი, რომლებიც ერთგვარი „შუაშისტები“ არიან, რომლებსაც არც იმედი აინტერესებთ და არც რუსთავი 2, უყურებს ტვ პირველს. ტვ პირველი სულ უფრო და უფრო საინტერესო ხდება. ძალიან დაბალანსებული ტელევიზიაა კავკასიაც, მაგრამ მას შედარებით ცოტა მაყურებელი ჰყავს და ტვ პირველს ბევრი ჰყავს სხვადასხვა გარემოების გამო. რა თქმა უნდა, შეეცდებიან, ტვ პირველი ბოლომდე გაპარსონ.

***– რა კავშირშია თიბისი და ტვ პირველი ერთმანეთთან? ამბობენ, რომ ამ ტელევიზიის უკან მამუკა ხაზარაძე დგას. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

– ვერ გეტყვით, არ ვიცი. ასევე ამბობენ, რომ პალიტრა ჰოლდინგის უკან დგას ყოფილი ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი. მე არც ეს ვიცი დაზუსტებით. ბევრი რაღაცა შეიძლება თქვან. ეს არ არის ამ სიტუაციაში მთავარი, მთავარია, რას ასხივებს ეს ტელევიზია და რას ვიღებთ ამ ტელევიზიისგან.

ცხადია, რაღაც ნაწილში ის კრიტიკული იქნება ხელისუფლების მიმართ და ამას შეეწინააღმდეგებიან. არჩევნების წინ, კაცმა არ იცის, ასეთი დაბალანსებული ტელევიზია როგორ როლს შეასრულებს. შეიძლება, ისეთი როლი შეასრულოს, რომ დაანგრიოს არჩევნებში ყველა. ამიტომ წინასწარ თადარიგს იჭერენ.

***– რას იტყვით ირაკლი ღარიბაშვილის შემობრუნებაზე?***

– მე მივესალმები. ძალიან კარგია, თუ ღარიბაშვილსაც დააბრუნებს და დანარჩენებსაც, ვინც გაუშვა, რომ კიდევ უკეთ დაგვანახოს თავისი სახე. ღარიბაშვილი ერთი პერიოდი მოაშორა გამწვავებული სიტუაციისა და დაპირისპირებების გამო.

ღარიბაშვილს კარგი რეიტინგი ჰქონდა მოსახლეობაში. მსმენია, რომ არ არის ცუდი ადამიანი, უბრალოდ, მანერა აქვს ღიმილის მომგვრელი. მას გაუფუჭა სახელი მისმა გარემოცვამ და მისმა კლანმა.

როგორც ჩანს, მოაცილა ივანიშვილმა ამ სიტუაციას და ასეთი სიტუაციისთვის შემოინახა, რადგან, ასე თუ ისე, გაუსვრელია. ივანიშვილი ღარიბაშვილს გამოიყენებს გუნდში სიტუაციის დასალაგებლად, სადაც ივანიშვილს უკვე პრობლემები აქვს. როგორც მე ვიცი, მას პრობლემები არა ძველებთან, არამედ სწორედ ახლებთან აქვს.

***– ძალიან გაძლიერდა კალაძე და მისი ფრთა პარლამენტში, ანუ კობახიძის გუნდი და მათ დასაბალანსებლად შემოიყვანა?***

– მე არ გამოვრიცხავ, რომ ღარიბაშვილი დააყენონ მთაწმინდაზე მაჟორიტარად, იმიტომ რომ, თუ ის შევა პარლამენტში, ძალიან ძლიერი ფიგურა გახდება და ივანიშვილს პრობლემები სწორედ პარლამენტში აქვს. პარტიაში რაღაცნაირად დაალაგებს, ბოლოს და ბოლოს, თვითონ არის თავმჯდომარე.

***– ანუ კობახიძეს უკვე წყალი აქვს შეყენებული?***

– კობახიძეზე ამბობენ, რომ გადაყვანას უპირებენ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ. ფაქტია, პარლამენტში „ოცნებას“ პრობლემები აქვს. იქ უფრო სჭირდება ღარიბაშვილი, თან, გინდა თუ არ გინდა, ყოფილი პრემიერი მაინც სერიოზული ფიგურაა, ძალიან ბევრი რაღაც იცის, თანაც ბევრზე. შესაბამისად, მიიღებს უფრო დაბალანსებულ სიტუაციას.



ყველაფერი ეს კეთდება არა იმიტომ, რომ დაბალანსება მოხდეს „ქართულ ოცნებაში“, არამედ იმისთვის, რომ ბიძინა ივანიშვილმა რომელიღაც კონფიგურაციით შეინარჩუნოს ხელისუფლება 2020-ში.

იქნება ძალიან ჭრელი კონფიგურაცია. მას ფინანსური ბერკეტებით ექნება ზეგავლენა ბევრ სხვადასხვა გაერთიანებაზე. ეს ყველაფერი კი ხდება ოპოზიციის დიდი პასიურობის ფონზე.

***– ოპოზიცია პასიურიაო, აცხადებთ და გამოუვა ივანიშვილს ხელისუფლების შენარჩუნება? ან ახალი ძალის გამოჩენას ხომ არ ელით? ხაზარაძე ხომ არ წავა ოპოზიციაში?***

– მე გამოვრიცხავ ხაზარაძის წასვლას ოპოზიციაში. არ არის ის ასეთი ღია მებრძოლი და პოლიტიკაში საერთოდ არ უნდა შესვლა. ოპოზიციას მართებს მეტი აქტიურობა. ჯერ არ ჩანს ამის სტრუქტურა, ან ეს ხელმოწერების შეგროვება რამდენად გამოუვათ.

ყველა ოპოზიციურ პარტიას უნდა, რომ მაჟორიტარული სისტემა პროპორციულით შეიცვალოს, რადგან ეს სისტემა მორგებულია ხელისუფლებაზე და ყველა სათავისოდ გამოიყენებს, ვინც უნდა მოვიდეს.

***– ხელისუფლებაში დაგეგმილ საკადრო ცვლილებებზეც საუბრობენ. გაუშვებენ პრემიერ-მინისტრს?***

– ივანიშვილის ადგილზე არ გავუშვებდი, იმიტომ, რომ მას არ სჭირდება ზედმეტად გამოხატული ფიგურა ამ პოსტზე. თვითონ რომ წავიდა ამ თანამდებობიდან, მერე ჰყავდა ღარიბაშვილი, მერე კვირიკაშვილი და ახლა ბახტაძეა. არც ერთი არ არის ისეთი ფიგურა, რომ რამით დაემახსოვრებინათ თავი. ეს კაცი ფსონს დებს ისეთ ფიგურებზე, რომლებიც არაფერს წარმოადგენენ.

***– გახარია არ აწყობს პრემიერ-მინისტრად?***

– გახარია არ სჭირდება, გახარია რომ კიდევ გააძლიეროს, ახალი პოლიტიკური ფიგურა გაჩნდება, რომელიც, დღეს იქნება, ხვალ თუ ზეგ, აუცილებლად შეუქმნის პრობლემებს ისევ ივანიშვილს და უნდა ახლა ეს ივანიშვილს?!

ბახტაძე არ შეეწინააღმდეგება არაფერში, გახარია კი ასე ადვილი სამართავი არ იქნება. ჯერჯერობით იდეალურად აქვს დალაგებული სიტუაცია.

***– ელოდებით მისგან ახალ სვლებს?***

– რაღაცებს შეცვლის, რა თქმა უნდა. ის ამით აჩვენებს მოსახლეობას, რომ მისი გუნდი ცოცხალია, რომ ჰყავს კადრები. ამას აუცილებლად გააკეთებს.

***– ახლების გაწირვა ხომ არ მოუწევს?***

– ეს დამოკიდებულია იმაზე, როგორი პოზიცირება მოხდება, ბოლომდე იქნებიან მონები თუ არ იქნებიან, ან დასჭირდება ეს ბატონ ბიძინას წინასაარჩევნოდ თუ არ დასჭირდება. დაჭირვებაში იმას ვგულისხმობ, შეუტევს თუ არა მას ოპოზიცია.

თუ ოპოზიცია პასიური იქნება, არაფრის შეცვლაც არ დასჭირდება. თუ ოპოზიცია გაერთიანდება, მაშინ სხვა მოცემულობა შეიქმნება.

მე უფრო ველოდები გადაჯგუფებას პარლამენტში. მე დიდი ეჭვი მაქვს, რომ უმრავლესობას დაშლიან. გამოვლენ ე.წ. ძველი დეპუტატები უმრავლესობიდან და აღმოჩნდება ისე, რომ ისინი უმცირესობაზე მეტნი არიან. ხოლო თუ ამას ღარიბაშვილი დაემატება და შექმნის უმცირესობის ფრაქციას, „ევროპული საქართველო“ საერთოდ აღარ იქნება უმცირესობა. ამ შემთხვევაში კი უმცირესობაც და უმრავლესობაც გვეყოლება ბიძინა ივანიშვილისგან მთლიანად მართული.

***– ანუ პარლამენტში ელოდებით სიახლეებს?***

– აქ უფრო ველოდები პოზიციების გაძლიერებას, ვიდრე მთავრობაში ან პარტიაში. მერე იქ როგორ დაეჯახება მას მოძლიერებული კახა კალაძე, დავინახავთ.

ფაქტია, რომ კალაძე ძალიან გაძლიერდა ფინანსურად მას მერე, რაც ქალაქის მერი გახდა. ის თავს გაცილებით თავისუფლად გრძნობს, ვიდრე სხვები. პარლამენტშიც თავისი დასაყრდენი ჰყავს. ამიტომ ცვლილებებს უფრო პარლამენტში ველოდები.

# ირაკლი კობახიძე მამუკა ხაზარაძეს ემუქრება

## „ისე დაამთავრებს, როგორც ოქუაშვილმა დაამთავრა“

შორენა მარსაგიშვილი

თიბისის დამფუძნებლის სკანდალური განცხადებების შემდეგ „ოცნების“ ლიდერები ნელნელა შოკიდან გამოდიან და კომენტარების გაკეთებასაც ბედავენ. მდუმარება პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემაც დაარღვია, რომელსაც ცოცხალი თავით არ სჯერა, რომ გიორგი გახარია წერილის დასაწერად კლავიატურას ბოლს აადენდა.



ქვეყნის პირველი კანონმდებელი არც თიბისის საქმეზე საპარლამენტო კომისიის შექმნას მიიჩნევს მიზანშეწონილად.

წერილს რაც შეეხება, პარლამენტარიზმის მოქმედი მამა ამბობს, რომ მსგავსი ტექსტის ამობეჭდვა ყველას შეუძლია. პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ თიბისი ბანკის საქმეზე კითხვები ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტთან და საფინანსო ზედამხედველობის სამსახურის ყოფილ უფროს გიორგი ქადაგიძესთანაც არსებობს.

კობახიძის შეფასებით, თიბისი ბანკის საქმე სამართლებრივი საკითხია და მისი პოლიტიკურ ჭრილში გადატანა დაუშვებელია.

– ყველას გვაქვს კაბინეტში პრინტერი, შეგვიძლია ამობეჭდვა, მათ შორის იმ ადამიანსაც, ვისაც მოაქვს ასეთი ბრალდება. ეს არის არასერიოზული. ქადაგიძესთანაც არსებობს კითხვები. ის იყო ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ამ პერიოდში. ამიტომ შეიძლება, კითხვები დაისვას საგამოძიებო ორგანოების მხრიდან, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პარლამენტის სპიკერი მამუკა ხაზარაძეს ზაზა ოქუაშვილს ადარებს და საკუთარ თავს წინასწარმეტყველების უფლებასაც აძლევს. მას მიაჩნია, რომ თიბისის დამფუძნებელი ომეგას დამფუძნებლის ბედს გაიზიარებს.

„მამუკა ხაზარაძისა და ზაზა ოქუაშვილის ქმედება ერთმანეთს ჰგავს. როგორ დაამთავრა ოქუაშვილმა, კარგად იცით.

აქ არის ძალიან მარტივად საქმე. გახსოვთ, ალბათ, ოქუაშვილის შემთხვევაც, რომელსაც ჰქონდა 50 მილიონი ლარის ვალი და მისი ინტერესი იყო, ეს სამართლებრივი საკითხი პოლიტიკურ ჭრილში გადაეტანათ. აქაც იმავესთან გვაქვს საქმე. არის სამართლებრივი საკითხი და არის მცდელობა, რომ გადავიდეს პოლიტიკურ ჭრილში, მაგრამ, როგორ დაამთავრა ოქუაშვილმა, თქვენ ეს კარგად იცით. რაც შეეხება საგამოძიებო კომისიას, ჩვენ არ გვინდა პოლიტიკური დატვირთვა, როცა საქმეს აქვს სამართლებრივი დატვირთვა, აქედან გამომდინარე, არ გვინდა საგამოძიებო კომისია, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ირაკლი კობახიძემ.

მისგან განსხვავებით, საგამოძიებო კომისიის შექმნას მხარს უჭერს ეკა ბესელია. მისი თქმით, თიბისის დამფუძნებლის განცხადება ძალიან სერიოზულია და სიმართლის გარკვევა აუცილებელია.

– ჩვენ უტყუარად ვერ ვიტყვით, ბრალდებები, რაც ბატონი ხაზარაძის მხრიდან ისმის, სარწმუნოა თუ არ არის სერიოზული. ყველა შემთხვევაში, იმისთვის, რომ საკითხი არ დარჩეს ღია და არ გამოიწვიოს კითხვები და ეჭვები, რომელიც მიმართულია ძალიან მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიმართ, ამას სჭირდება საპარლამენტო კონტროლი და ზედამხედველობა.

იმ პირობებშიც კი, გამოძიება რომ აბსოლუტური მიუკერძოებლობით ჩატარდეს, საზოგადოებაში მაინც გამოჩნდებიან ადამიანები, ვისაც ექნებათ განცდა, ეჭვი შეიტანონ მიუკერძოებლობაში იმიტომ, რომ საქმე ეხება მაღალი თანამდებობის პირებს. ამიტომ, მე არ შევხედავდი ასე იუმორით ამ წერილს და განცხადებებს. მთლიან კონტექსტს თუ შევხედავთ, მე მგონია, რომ საჭიროა პარლამენტი დაინტერესდეს, შესწავლა დაიწყოს და შესაბამისი საპარლამენტო საკონტროლო მექანიზმების გამოყენებით ამ საკითხის სიღრმისეული ანალიზი მოხდეს.

იმის გამო, რომ არც ერთი მხარე ვართ ჩვენ და არც მეორე, არც ერთი პოზიცია მიგვაჩნია უტყუარად და არც მეორე პასუხები მიგვაჩნია დამაჯერებლად, ჩვენი პოზიციაა, რომ საპარლამენტო კონტროლი განხორციელდეს და ამ იდეას დავუჭერდი მხარს. საჭიროა პარლამენტმა შექმნას ისეთი კომისია, იქნება ეს საგამოძიებო თუ დროებითი, დაიწყოს საკითხის შესწავლა, რათა გაირკვეს, ვინ არის მართალი, – აღნიშნავს ბესელია.

დაახლოებით ასევე ფიქრობს „ქართული ოცნებიდან“ წამოსული დეპუტატი ლევან გოგიჩაიშვილი. მისი თქმით, ხაზარაძის მიერ გასაჯაროებულმა წერილმა შეიძლება, ვიღაცები საბრალდებო სკამზე დასვას.

– წერილის შინაარსი არის უმძიმესი, რომელიც შეიძლება, ძალიან მძიმედ დამთავრდეს ბევრი ადამიანისთვის. ეს, ფაქტობრივად, გზაა საბრალდებო სკამისკენ, თუმცა ჯერ ეს უნდა დამტკიცდეს. მტკიცებულება არის მტკიცებულება, ამას ჩვენ ვერ გავექცევით. მე ვფიქრობ, გუშინ პროკურატურამ შეცდომა დაუშვა, როდესაც განაცხადა, რომ საკითხი ამოწურულია.

გვესმის, რომ მაღალი მტკიცებულების სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს აღნიშნული წერილი, ეს გასაგებია, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოებაში მაღალი საჯარო ინტერესია ამ საკითხის მიმართ, ვფიქრობ, პროკურატურა ვალდებული იყო, მიჰყოლოდა საქმეს და ყველა რესურსი გამოეყენებინა გამოძიებისთვის. რადგან ეს არ გააკეთა, ვფიქრობ, რომ შეცდომა დაუშვა. ასევე, ვფიქრობ, რომ პროკურატურას მოუწევს პარლამენტში მოსვლა ძალიან ბევრ საკითხთან დაკავშირებით, – განაცხადა ლევან გოგიჩაიშვილმა.



თიბისი ბანკისა და გახარიას უსტარის საქმე თბილისის მერ კახა კალაძისთვის ღიმილის მომგვრელია.

– ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, ანალოგიური წერილი დაწეროს, ღიმილის მომგვრელი იყო საერთოდ, ამ წერილში რაც ეწერა ჩემთვის.

პირადად ჩემთვის და, ვფიქრობ, საზოგადოებისთვის, კატეგორიულად მიუღებელია ფაქტი, რომ სამართლებრივი ამბის გადატანა ხდება პოლიტიკურ ჭრილში. ჩვენ ამ ადამიანებს არ უნდა მივცეთ საშუალება, ეს საკითხი პოლიტიკურ ჭრილში გადაიყვანონ.

მედია რა შუაშია, ეს საერთოდ არ მესმის. რა შუაშია ტვ პირველი, რა შუაში იყო „არტარეა“. ალბათ, მომავალში „ენკი ბენკიზეც“ იქნება საუბარი, – თავისი ჭკუით იხუმრა კალაძემ.

# ადა მარშანია: „უნდა ვიაროთ კრემლში და რუსეთთან მჭიდროდ ვითანამშრომლოთ“

## „მართლმადიდებლობა რომ შევინარჩუნეთ, რუსეთის დამსახურებაა“

გულიკო ბალაძე



საქართველოს პარლამენტში პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის პირველი წლიური მოხსენების შემდეგ ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ადა მარშანიამ თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიებზე – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში – წლიდან წლამდე ვითარება მხოლოდ უარესდება. აღნიშნულ საკითხებზე სახელმწიფო სათანადოდ არ რეაგირებს, შესაბამისად, აფხაზები არ საუბრობენ არანაირ ერთობაზე. საქართველოც არაფერს სთავაზობს მათ. კულუარებში იმაზეც კი საუბრობენ, ხომ არ გაუშვან სოხუმი და ცხინვალი, სანაცვლოდ ნატოში ხომ არ შევიდნენ. ამ საკითხზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად „ახალი თაობა“ **ადა მარშანიას** დაუკავშირდა.

***– ქალბატონო ადა, ჩემთვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იყო თქვენი განცხადება, რომ საქართველოს ხელისუფლების კულუარებში საუბარია აფხაზეთისა და ცხინვალის დათმობასა და, სამაგიეროდ, ნატოში შესვლაზე.***

– რატომ არის მეხის გავარდნა? თქვენ ვერ ხედავთ, რომ ეს ეგრეა? მთელი პოლიტიკა მომართულია იქითკენ, რომ ეს ასე მოხდეს. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის თემა გადადებულია, ხელისუფლება ამ საკითხზე არ მუშაობს. უპირველესი ამოცანა და მიზანი ნატოში შესვლაა. მორჩა და გათავდა. აფხაზეთი და ცხინვალი ოდესმე იქნება ჩვენი. მაგალითად მოჰყავთ გერმანია.

მეხის გავარდნა თქვენთვის რატომ არის, გენაცვალე, არ ვიცი. მე, უბრალოდ, არაერთი წელი მესმოდა ეს, ვხედავდი ამას, მაგრამ არ მჯეროდა, ვერ ვიჯერებდი, მაგრამ ასეთი პოლიტიკა ხორციელდება.

***– ეს თქვენი კრიტიკული შეფასებაა თუ უშუალოდ, თქვენი ყურით მოგისმენიათ ამის თაობაზე განცხადებები კულუარებში?***

– ჩემი ყურით მომისმენია ზოგიერთი პოლიტიკოსის მსჯელობა უმრავლესობიდან, ზოგი პოლიტიკოსის მსჯელობა აღმასრულებელი ხელისუფლებიდან, რა ვქნათ ახლა, ჩვენ ხომ ვერ დავაბრუნებთ აფხაზეთსა და ცხინვალს ჩვენი ძალებით? ძალით – მით უმეტეს! გადავდოთ ეს საკითხი. სამაგიეროდ, თუ ნატოში შევალთ, ჯერ ერთი, დანარჩენ საქართველოს დავიცავთ აგრესიისგან და მეორე – უფრო გაძლიერებულებს უფრო მეტი პრეტენზია გვექნება და რუსეთს ჩვენი უფრო შეეშინდება.

***– ხელმძღვანელი პირები რას ამბობენ?***

– გვარების დასახელება გინდათ?

***– დიახ, გვარების დასახელება მინდა.***

– პარლამენტი საერთოდ არ მსჯელობს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საკითხზე. ცოტა ხმა ამოიღეს მაშინ, საცოდავი ბიჭი, ტატუნაშვილი რომ მოკლეს. მაშინ იყო ალიაქოთი, ისიც კრიმინალურ მხარეზე ლაპარაკობდნენ და არა ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ, ზოგადად, სტრატეგიასა და ტაქტიკაზე. არ არის მაჩვენებელი იმისა, რომ ჩვენი პოლიტიკური ისტებლიშმენტი არის უსუსური, მოღალატე, გამყიდველი და ყოვლად გაფუჭებული?

წარმოიდგინეთ, ის ქვეყანა, რომელსაც ორი რეგიონი ოკუპირებული აქვს, პარლამენტში დებატებს არ აწყობს. ეს ნორმალურია? ან მათ ხელი ჩაიქნიეს. კონცენტრაცია გააკეთეს ნატოზე, ან... მიჭირს ამ ხალხის დახასიათება. მოღალატეები არიან ან ვინ ჯანდაბა არიან.

***– ქალბატონო ადა, თქვენ ხომ გაქვთ უფლება, პარლამენტში ეს საკითხი განსახილველად შეიტანოთ. თუ მხარი არ დაგიჭირეს, სადებატოდ საკითხს ვერ გაიტანთ?***

– პარლამენტში ჩემს ყველა გამოსვლას ამ საკითხით ვიწყებ. მაინცდამაინც წერილობითი დოკუმენტი უნდა შევიტანო, მოვითხოვ აფხაზეთზე პოლიტიკურ დებატებს-მეთქი? ყოველი ჩემი გამოსვლისას ვამბობ – პირველი, რაც უნდა ხდებოდეს საქართველოს პარლამენტში, უნდა ეწყობოდეს ამ საკითხის განხილვა, გნებავთ – დახურულ სხდომაზე, გნებავთ – ღია სხდომაზე. საბუთი შევიტანო?

***– საკითხის ინიცირებაზე ვსაუბრობ, თავი რომ ვეღარ აარიდონ განხილვას.***

– ანუ თქვენ მთავაზობთ საბუთის შეტანას, ჩემი გამოსვლა ნულია? მე მიკვირს, რატომ არ ეხმაურებიან ამ საკითხს, ჩემთვის ახსნა არ აქვს. ამას მე პარლამენტს ვერ გავუგებ. ამ თემაზე პარლამენტში დებატები წელიწადში ერთხელ კი არა, ყოველთვე უნდა იყოს.

***– რუსეთის მხრიდან მუდმივად ისმის მუქარები. ახლახან კარასინი დაგვემუქრა, საქართველომ უნდა აირჩიოს, ნატო უნდა თუ კავკასიაში სტაბილურობაო.***

– კარასინის ეს განცხადება მე არ მიკვირს, თქვენ რატომ გიკვირთ? ჩვენ ერთი რამ დაგვავიწყდა – ჩვენ ვართ ომში წაგებული ქვეყანა. ეს არ გვახსოვს. ჩვენ ისეთი რიხით ვლაპარაკობთ და ისეთ განცხადებებს ვაკეთებთ, გვგონია, რუსეთი დავამარცხეთ და კიდევ დამატებით პრეფერენციები უნდა მივიღოთ. ჩვენ ამ რეგიონებში ვართ დამარცხებული. ჩვენ უნდა გადავდგათ პირველი ნაბიჯები, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი დავიბრუნოთ. მათ თავიანთი საქმე გააკეთეს. მე არ მიკვირს კარასინის ეს მუქარები. მერე რა? თავი დააყენეთ რუსეთის ადგილზე და ყველაფერი გასაგები იქნება.

***– წაგებული მხარე კი ვართ, მაგრამ რატომ უნდა დავთანხმდეთ, როცა რუსეთი ითხოვს როკი-ცხინვალის გამოვლით საქართველოს ტერიტორიაზე (სომხეთის მიმართულებით) მისთვის სატრანსპორტო დერეფნის გახსნას?***

– ვინ თანხმდება? ადა მარშანია არ თანხმდება იმიტომ, რომ ჩემთვის ძალიან ბევრი რამ იქ გაუგებარია. ამაზე იყო საუბარი პარლამენტის კომიტეტის დახურულ სხდომაზე. მე იქ რაღაცას ვარკვევდი და საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია ბოლომდე ვერ გავიგე. თვითონ არ იციან, რა ქნან და რა იფიქრონ.

მე მათ შევთავაზე უფრო მჭიდრო თანამშრომლობა. პერიოდულად ერთმანეთს უნდა შევხვდეთ საგარეო კომიტეტისა და საქართველოს საგარეო უწყების წარმომადგენლები. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტზე მე ეს საკითხი არაერთხელ დავაყენე. როგორც კი დეპუტატი და ამ კომიტეტის წევრი გავხდი, იმ დღიდან ვითხოვ ზურაბ აბაშიძის პარლამენტში მოსვლას.

ამაზე უფრო აქტუალური, ამაზე უფრო სერიოზული, ამაზე უფრო საჭირბოროტო საკითხი რომელია-მეთქი. მესამე წელი მიდის და პარლამენტში აბაშიძე ახლა მოიყვანეს. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე რას აკეთებს, სად მიდის, სად მოდის, არაფერს გვიყვება. რამდენჯერმე დავაყენე სადემარკაციო კომისიის მოსმენა პარლამენტში. მერე რა? თქვი და შენ თვითონ გაიგონე.

***– თვითონ აბაშიძემ რა თქვა, როგორია მისი პოზიცია?***

– აბაშიძის პოზიციას მე ვერ გეტყვით, საჯაროდ თვითონ გაახმოვანებს. მე ამას ვერ მოგიყვებით, დახურული სხდომა ტყუილად კი არ იყო. მთელი ჩხუბი კი არ იყო სხდომის დახურვა-არდახურვაზე. გაზეთისთვის თუ მოგიყევით, რა ითქვა დახურულ სხდომაზე, რანაირი დახურვა გამოვა. სხდომის დახურვას ყველაზე ხმამაღლა მე ვითხოვდი.

***– უბრალოდ დავინტერესდი, რა გაარკვიეთ?***

– არაფერი. ვარკვევდი ჩვენთვის საინტერესო საკითხს და იმ დასკვნამდე მივედით, რომ უფრო მჭიდრო თანამშრომლობა უნდა გვქონდეს საგარეო უწყებასა და საპარლამენტო კომიტეტს.

***– ყოველ შემთხვევაში, მიკვირს, როცა ასეთი ზეწოლაა რუსეთის მხრიდან, გვემუქრებიან...***

– იმიტომ, რომ ნატოსკენ მივდივართ. რით ხართ გაკვირვებული, მითხარით.

***– რატომ უნდა გავუხსნათ სატრანსპორტო დერეფანი რუსეთს? იყო ინფორმაცია, რომ საქართველო თანხმდებოდა ამ პროექტის განხორციელებას და სატრანსპორტო დერეფანს უხსნიდა რუსეთს.***

– სახელმწიფო არანაირად არ თანხმდება. საქმე მხოლოდ ზეწოლაში არ არის. თვითონ იმ ხელშეკრულებაში (რომელსაც 2011 წელს მოაწერეს ხელი), პრაქტიკულად, ძალიან ბევრი საკითხი ტექნიკურად გაურკვეველია. ამიტომ ამ ეტაპზე, ჯერჯერობით, ვერ განხორციელდება. არავითარი დათანხმება არ ხდება. ეს რთული საკითხია.

***– რა პოლიტიკაა რუსეთისთვის ის, რომ დროდადრო ჩვენი ოკუპირებული რეგიონების ხელმძღვანელებს კრემლში რომ იღებს? ახლაც ცხინვალის წარმომადგენელი მიიღო. როგორ ხსნით თქვენ ამ პოლიტიკას?***

– ძალიან მარტივად ვხსნი. ჩვენ ახალი მიდგომები და მეთოდები უნდა გამოვიმუშავოთ. არაფერი გასაოცარი მანდ არ არის. მე არ მიკვირს არც ეგ შეხვედრები, არც რუსების განცხადებები.

ჩვენ ხომ მივდივართ მხიარული სვლით ნატოსკენ?! რატომ გიკვირთ, რომ რუსები მათ შეხვდნენ.

***– ნატოს საკითხი წლების განმავლობაში აქტიური არ იყო, მაგრამ რუსეთი მაინც განაგრძობდა ოკუპანტურ პოლიტიკას, ოკუპაციას.***

– მოკლედ, თქვენ გახდით ნატოთუმე. ნატოთუმე გახდით? მე დაბადებიდან ვიცი, ვინ არის რუსეთი. რუსეთს უჭკუოდ რატომ ვექცევით. რუსეთი არის ისეთი, როგორიც არის. ჩვენ მას ვერ შევცვლით. ამიტომ ჭკვიანურად უნდა მოვიქცეთ. ვიძახით, ნატო, ნატო და კიდევ სხვა რაღაცები. ვსხედვართ, ველოდებით, როდის შეგვიყვანენ ნატოში, მერე გავძლიერდებით და მერე დავიბრუნებთ აფხაზეთსა და ცხინვალს.

ამას ვაკეთებთ იმის მაგივრად, რომ ვიაროთ კრემლში და კრემლთან მჭიდროდ ვითანამშრომლოთ. ვიძახით, კრემლი მაინც მოგვატყუებს, კრემლი მაინც მოგვატყუებს. ამერიკა დაგვეხმარება, ამერიკა დაგვეხმარება, ჩვენ მაგივრად იომებს, დედას უტირებს რუსეთს.

***– კრემლი არ გვატყუებს და არ მოგვატყუა? დღემდე ასეა.***

– რას გვთავაზობთ? კრემლი გვატყუებს. ვიცით, დღემდე ასეა. მერე? ტაში! რა ვქნათ? შევიდეთ ნატოში... დაუგდეთ ყური იმ ადამიანებს, ვინც იქ დაიბადა და გაიზარდა. ტვინით თუ არა, სხეულით მაინც ვიცით, რა გავაკეთოთ და რა – არა. ბევრი დრო დავკარგეთ, მაგრამ გამოსწორება კიდევ შეიძლება. მე კონკრეტულ შეთავაზებას ვაჟღერებ – ჩვენ ჩვენს ქვეყანას, ნატოსა და რუსეთს შევთავაზეთ ფორმატი: საქართველო-ნატო-რუსეთი, მაგრამ ამის განხილვაც არ უნდათ. ვეუბნები, განიხილეთ, უბრალოდ, იმსჯელეთ, მსჯელობის დონეზე, რას მოგვიტანს ეს ფორმატი, რას არ მოგვიტანს, მაგრამ ამ ფორმატის გაგონება არ უნდათ.

***– საბჭოთა დროს მეც ვიცხოვრე და მეც ვიცი, რა არის რუსეთი, მაგრამ კიდევ ერთი რამ მიკვირს – ეს მართლმადიდებელი რუსეთი რატომ იტაცებს ადამიანებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში? მღვდელიც კი გაიტაცა.***

– იმიტომ, რომ რუსი უფრო ცუდი მართლმადიდებელია, ქართველი უფრო კარგი მართლმადიდებელია, უფრო ზნეობრივია, უფრო ღვთისმოშიშია. ისინი ცუდები არიან, ჩვენ კარგები ვართ. ასე გინდათ გიპასუხოთ?

***– ასე სწორხაზოვნად არ არის.***

– ხალხს რომ იტაცებენ მართლმადიდებელი რუსები, ამის ჩაკვეხება რად გინდათ? დასცინით? ის მართლმადიდებელი რუსეთი რომ მოისპობა, საქართველოს საერთოდ დედას უტირებენ. მართლმადიდებლობა შენარჩუნებული რომ არის (იმ ხაზით, რაც არის), რუსეთის დამსახურებაა.

დიდი ქვეყანაა, ძლიერი ქვეყანაა და ატომური ბომბი აქვს. მართლმადიდებლობას ამერიკა დედას უტირებდა. მართლმადიდებლობას ძალიან ებრძვიან. ბრძოლა გამოცხადებულიც არის.

## ზარდიაშვილი: „ბესელიას არც კეთილსინდისიერება გააჩნია და არც კომპეტენცია“

ვანო ზარდიაშვილი ეკა ბესელიას აკრიტიკებს და ამბობს, რომ იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე არაკომპეტენტურია.

– მიმაჩნია, რომ ქალბატონ ეკას არც კეთილსინდისიერება გააჩნია და არც კომპეტენცია, – თქვა ზარდიაშვილმა ეკა ბესელიას მიერ ინიცირებული კანონპროექტის შეფასებისას. ბესელიას კანონპროექტი კი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის წესსა და კრიტერიუმებს ეხება.

ზარდიაშვილი აცხადებს, რომ მოსამართლეების შერჩევისას უნდა არსებობდეს ორი მთავარი კრიტერიუმი, კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა, რომელიც მისი განცხადებით, ეკა ბესელიას არ გააჩნია.

– აქ არსებობს ორი მთავარი კრიტერიუმი, ეს არის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა, რომლის მიხედვითაც უნდა შეირჩნენ მოსამართლეები. მე მიმაჩნია, რომ ქალბატონ ეკას, არც კეთილსინდისიერება გააჩნია და არც კომპეტენცია. შესაბამისად, მე ვურჩევდი, დაანებოს სპეკულაციებს თავი და მოუსმინოს იმ კანონპროექტს, რომელიც დავარეგისტრირეთ, – განაცხადა ზარდიაშვილმა.

## ხუხაშვილი: „ხელისუფლება სუიციდისკენ არის მიმართული და ყველა ნაბიჯი მათ აღსასრულს აახლოებს“



„ქართული ოცნების“ სურვილს, რომ პარტიაში ახალი სახეები გამოჩნდნენ, აგონიას უწოდებს პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი.

მისი თქმით, მმართველმა პარტიამ მიზიდულობის ცენტრი დაკარგა. ახალგაზრდები კი ამ პოლიტიკური გაერთიანების მომავალს ვერ ხედავენ.

რაც შეეხება კერძო კომპანიის დაქირავებას, ექსპერტი ამბობს, რომ ეს შპს დაადგენს რა ეღირება მინისტრობა და მინისტრის მოადგილეობა:

– ეს არის ილუზია, „ქართული ოცნება“ რეალობას საერთოდ ვერ აფასებს. ახალ სახეებს ისინი შვიდი წელია ეძებენ. ჩვენ ვაკვირდებით, რომ მუდმივ დეგრადაციაში არიან ნაცვლად იმისა, რომ ვილაცა იპოვონ. მათ ვერ შექმნეს თანამედროვე, განათლებული ადამიანებისთვის მიმზიდველობის ენერგია. ვისაც რაღაც განათლება, კომპეტენცია აქვს, შესაბამისი მორალურ სტანდარტსაც ამჟღავნებს, ყველა ერიდება „ოცნებაში“ წასვლას. ძალიან ბევრს ეს პარტია წარმავალ მიაჩნია, განსაკუთრებით ახალგაზრდებს.

შპს დაიქირავებს HR-ის ფუნქციით, რომელიც გამოაქვეყნებს პრეისკურანტებს – მინისტრზე მომზადება მილიონი ლარი, მინისტრის მოადგილეზე ნახევარი მილიონი ლარი... კომერციული სტრუქტურის დაქირავება, კი მესმის კორპორატიულ წვეულებებს ქირაობენ, მაგრამ პოლიტიკური პარტიის „ეიჩ არი“ დაქირავებული კომპანიით წარმოუდგენელი რაღაცაა. პოლიტიკური პარტია იდეოლოგიაზე, რწმენაზე ეწყობა. ხალხს კი იზიდავენ, ხალხი თვითონ მიდის და მერე იქ კარიერას იკეთებს. პირდაპირ ფასები გამოაქვეყნონ, რა თანამდებობა რა ჯდება და ამით დაამთავრონ, – აღნიშნა „ნიუპოსტთან“ გია ხუხაშვილმა.

რაც შეეხება ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ივანიშვილი ვადამდელ არჩევნებსაც განიხილავს, პოლიტოლოგმა ჩვენთან საუბარში არ გამორიცხა, რომ ბიძინა ივანიშვილს ახალი სახეების მოზიდვა და კერძო კომპანიის შემოყვანა ვადამდელი არჩევნების დანიშვნისთვის სჭირდებოდეს, თუმცა ხუხაშვილი იქვე ამბობს, რომ ამ გზით წარმატების მიღწევა „ილუზიაა“.

– პირდაპირ გეტყვით, ის, რომ „ქართული ოცნება“ ახლა რაღაცას გადაახალისებს, კადრებს მოიყვანს, ეს არის ილუზია, ამას ვერ მოახერხებს. რა უნდა, ვადამდელი უნდა, უვადო უნდა თუ რა უნდა, ეს საერთოდ არ არის საინტერესო. მმართველი ძალა და შესაბამისად ხელისუფლება დეგრადაციის პროცესშია. შეუქცევადი პროცესი მიმდინარეობს. გასაგებია, რომ ახლა რაღაცებს ისტერიულად ცდილობენ ახალ-ახალი იდეები შემოყარონ, ძველი, სკივრიდან ამოღებული პოლიტიკოსებით, მაგრამ არ გამოდის ასე, ასე არ ხდება. აგონიას ჰგავს ეს ყველაფერი...

ვერაფერს გამოაცხადებს (ვადამდელი არჩევნების დანიშვნას), რადგან ხელისუფლება სუიციდისკენ არის მიდრეკილი და ყველა შემდეგი ნაბიჯი, მათ აღსასრულს აახლოებს. ამ მმართველობით ვიდეც ბეზენ. აქედან გამომდინარე, რანაირად გამოაცხადებს?! ბაბილონის გოდოლი ძალიან სწრაფად ინგრევა და ეს დაინგრევა 2019-ში თუ უფრო გვიან, ამის თქმა გაჭირდება. ხვალ რა სიბრიყვეს გამოაცხადებენ, საიდან ვიცი?! – განუცხადა „ნიუპოსტს“ გია ხუხაშვილმა.

# ლევან ალაფიშვილი: „ანაკლიის პროექტი საზოგადოებამ უნდა დაიცვას“

ნათია ხურცილავა

იურისტი **ლევან ალაფიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ლევან, შეიძლება, ხაზარაძის საქმე, ოქუაშვილის საქმის მსგავსად, მიუხედავად მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა, მივიწყებას მიეცეს?***

– მე უფრო მოლოდინი მაქვს, რომ მთავრობა გონს მოეგება და ბანკიდან გამოსული ფულის გათეთრების თეორია შეიცვლება, რადგან ეს ისეთი აბსურდია, რომ ახლა თავად გამოძიებაც ცდილობს, ამ ჩიხიდან როგორმე გამოვიდეს. პროკურატურის წარმომადგენელმა უკვე გვითხრა, რომ გამოძიებას დადგენილი არ აქვს, საერთოდ იყო თუ არა ფულის გათეთრება.

2011 წელს ჩვენ გვახსოვს, ბიძინა ივანიშვილის „ქართუ ბანკიდან“ გამოსული ფულის შესახებ როგორ აწარმოებდა მაშინდელი ხელისუფლება გამოძიებას და ფულის გათეთრებაზე საუბრობდა. მაშინ ივანიშვილის ადვოკატი თადუმაძე და დღევანდელი პროკურორი ასევე ყველას გვახსოვს, თუ როგორ ამბობდა, შეუძლებელია, აბსურდია, ბანკიდან გამოსული ფულის გათეთრებაზე იყოს საუბარიო. ასეთივე აბსურდია დღესაც თიბისი ბანკიდან გამოსული ფულის გათეთრებაზე საუბარი.

ამ საქმიდან უკვე საკმაოდ დიდი ზიანი მიიღო სახელმწიფომ და თავად ხელისუფლებამაც, ამიტომ ახლა დროა, გონს მოეგონ და, როგორც ის საქმე დაიხურა მაშინ, ასე მოხდეს ამ შემთხვევაშიც.

ამ შემთხვევაში მთავარ აქცენტს ანაკლიის პროექტზე ვაკეთებ, რადგან ამ პროექტის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის მართლაც განუზომლად დიდია.

***– სწორედ ანაკლიის პროექტთან დაკავშირებით გახარიამ განაცხადა, რომ მას კარგად ესმის ამ პროექტის მნიშვნელობა, ამიტომ ვერავინ აარიდებს თავს აღებულ ვალდებულებებს. მან ისრები ხაზარაძისკენ გადაიტანა. თქვენ როგორ ახსნით ამ განცხადებას?***

– დიახ, მე მოვისმინე ეს განცხადება. ამ განცხადებით გასაგებია, გახარია რასაც ამბობს, მაგრამ საკუთარ წვლილზე, ხელისუფლების წვლილზე რატომ არ საუბრობს, როდესაც შეიძლება, მართლაც დაემუქროს ამ მეტად მნიშვნელოვან პროექტს საფრთხე?!

მარტივი კითხვა მაქვს: სახელმწიფოსაც აქვს ვალდებულებები აღებული ამ პროექტთან მიმართებით. მან უნდა გამართოს იქ ინფრასტრუქტურა, გაიყვანოს რკინიგზა და ა.შ. ამ მხრივ რას ვაკეთებთ?! გავიყვანეთ უკვე რკინიგზა?! მოეწყო და გაიმართა ინფრასტრუქტურა, ჩატარდა სამუშაოები?! სახელმწიფო რას აკეთებს და სად არის?! ამ კითხვებზე საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს პასუხები.

არც ერთი მხარე ამ პროექტთან დაკავშირებით მთლად ყოჩაღად ვერ გამოიყურება.

***– ექსპერტების ნაწილი აცხადებს, რომ ანაკლიის პროექტის განხორციელებას საფრთხე ემუქრება. ასე ფიქრობთ?***

– არა, მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ პროექტი განხორციელდება, იმდენად მნიშვნელოვანია. ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ეს პროექტი განხორციელდეს.

***– როგორ?***

– საზოგადოებრივი ზედამხედველობა დაწესდეს. იყოს პერიოდული მოხსენებები პარლამენტში, რა ეტაპზე ვართ სამუშაოების შესრულების კუთხით და ა.შ. თუ ამ პროექტის განხორციელებას საზოგადოება აიღებს საკუთარ თავზე,



რადგან სახელმწიფოა პროექტის თანამონაწილე, მაშინ, ხელისუფლება რომც შეიცვალოს და ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლებაში, ვერავინ იტყვის უარს ამ პროექტის განხორციელებაზე.

ხალხის მონაწილეობის გარეშე მე არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება, იარსებოს ისეთმა რისკებმა, რომლებმაც კონკრეტული მოცემულობის კვალობაზე, შესაძლოა, პროექტის ჩავარდნის საფრთხის წინაშე დაგვაყენოს.

***– კონკრეტული საფრთხე რა შეიძლება იყოს?***

– უამრავი, მაგალითად, ხელისუფლების ცვლა, კონკრეტული ბიზნესინტერესების ცვლილება, სამეზობლოში შეიძლება მოხდეს ისეთი რაღაც, ან მათი ინტერესების კვალდაკვალ და ა.შ. ამიტომ ვამბობ, რომ ხალხის მეტი ჩართულობა უფრო გაამყარებდა პროექტის იდეასა და მის განხორციელებას. ხალხი შეიძლება ამ შემთხვევაში სერიოზული დამზღვევი იყოს.

***– უკვე ხაზარაძის პირობებში ეს რამდენად რეალურია?***

– რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მხრიდან უსაფუძვლო ბრალდებებმა ეს პროცესი მთლიანად დააზიანა. უცხოელმა პარტნიორებმა, რომლებიც აქ იყვნენ ჩამოსული და პრემიერს შეხვდნენ, მარტივად თქვეს, რომ მაისში დაგეგმილი ღონისძიება, ანუ ფულის წამოსვლის პროცესი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. ამიტომ მთავრობა უნდა დაფიქრდეს.

***– წერილზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?***

– ჩემთვის პირადად ახალი არაფერი ყოფილა. ვიცოდით, რომ წინა ხელისუფლების პირობებში ბიზნესმენებს განსაკუთრებით არჩევნების დროს როგორ მოეძალებოდათ ხელგაშლილობის ენთუზიაზმი. ახლა გაირკვა, რომ ეს ენთუზიაზმი მთლად ნებაყოფლობითი არ ყოფილა. ხელისუფლებასთან ამ მიმართულებით კომუნიკაცია ესემეს გზავნილითა თუ ელ-ფოსტით მყარდებოდა, ქაღალდზე დაწერილი წერილითა თუ პრინტერზე ამობეჭდილი წერილით, ამას ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს.

***– ექსპერტიზამ გამოძიებისთვის ხელჩასაჭიდი შეიძლება რამე დადოს?***

– ეს იმდენად წმინდა ვიწროპროფესიული საკითხია, რომ ვერაფერს გეტყვით. ვნახოთ. მით უფრო საუბარია დაგეგმილ ექსპერტიზაზე. შინაარსზე შემიძლია გითხრათ, წერილის მეორე პუნქტი და 2 ნოემბრის მამუკა ხაზარაძის განცხადება ერთი ერთში მეორდება. ცხადია, ვგულისხმობ ხელისუფლების მხარდამჭერ განცხადებას.

# ფადი ასლი: „საქართველოს ინვესტორები არ ჰყავს, ამიტომ უცხოელებზე მიწის მიყიდვის აკრძალვა ინვესტიციებს ვერ აფერხებს“

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გუშინ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა, რომ უცხოელებზე მიწის რეგისტრაციის შეზღუდვას



ინვესტიციებზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია. საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ფადი ასლი მიიჩნევს, რომ საქართველოს ინვესტორები არ ჰყავს, სწორედ ამიტომ უცხოელებზე მიწის მიყიდვის აკრძალვა ინვესტიციებს ვერ აფერხებს.

– თეორიულად ეს სწორი აზრია, რადგან საქართველოში დიდი ინვესტიცია არ გაქვთ. ინვესტორები ნაკლებად ინტერესდებიან ამ ქვეყნით. შესაბამისად მინისტრის ნათქვამი მართალია, სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ კანონპროექტი და რეგულაციები გავლენას ვერ ახდენს ინვესტიციებზე. ადრე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწები დიდ ინტერესს იწვევდა, თუმცა 2-3 წელია თქვენთან არსებობს მორატორიუმი და თითქმის ყველამ იცის, რომ მიწას ვერ იყიდის. როგორც ჩემთვის ცნობილია, ერთ-ერთი დიდი ინვესტორი აპირებს სასოფლო სამეურნეო მიწის ყიდვას აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, საქართველოს საზღვართან ახლოს, სტრატეგიულად ეს არ იქნება საზიანო და ვფიქრობ, რომ ამ ნაბიჯს არ მოყვება უარყოფითი შედეგები თუ ზეგავლენა, – აცხადებს ფადი ასლი.

ფადი ასლის აზრს იზიარებს „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ ვიცეპრეზიდენტი პაატა ბაირახტარი. ეკონომისტი აცხადებს, რომ საინვესტიციო მიმართულებით საქართველოს უფრო დიდი პრობლემები აქვს, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ კანონია.

– რეგულაციები უცხოელებზე მიწის გასხვისების შესახებ, გვაქვს უკვე ერთი წელია, ჩვენი სოფლის მეურნეობა 7 წელია კვდება და სულს ღაფავს.. სანამ ამ კანონს შემოვიღებდით, არც მაშინ იყო ინვესტიციები. ეს არ არის ის კანონი, რომელსაც შეუძლია საინვესტიციო გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს. საინვესტიციო მიმართულებით ბევრად უფრო დიდი პრობლემები გვაქვს, ვიდრე ეს ერთი კანონი, რომელიც არა მხოლოდ ჩვენ, არამედ ძალიან ბევრ ქვეყანას აქვს, – განმარტავს პაატა ბაირახტარი.

**კომერსანტი**

# ლევან სურგულაძე: „თუ საკონსტიტუციო სასამართლო საპენსიო რეფორმას შეაჩერებს, საპენსიო ფონდში ჩარიცხული თანხები მოქალაქეებს სარგებლით დაუბრუნდებათ“

– იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო საპენსიო რეფორმის შეჩერების გადაწყვეტილებას მიიღებს, საპენსიო ფონდში ჩარიცხული თანხები მოქალაქეებს სარგებლით დაუბრუნდებათ, – ეს განცხადება საპენსიო ფონდის დირექტორმა ლევან სურგულაძემ გუშინ ბათუმში გააკეთა.



ის გამწესრიგებელ სხდომაზე მოწმის სტატუსით მიიწვიეს და მოსამართლეების შეკითხვებს უპასუხა.

ლევან სურგულაძე ამბობს, რომ საპენსიო ფონდის შენატანი ბევრ ქვეყანაშია სავალდებულო და ამას კონსტიტუციაც ითვალისწინებს.

– ეს არის ნახევრად სავალდებულო ჩართულობა, სავალდებულოა მხოლოდ გარკვეული ასაკის კატეგორიისთვის. ეს სავალდებულოა ყველა ქვეყანაში როგორც დამსაქმებლისთვის, ისე დასაქმებულისთვის, ასე რომ, იძულებითი არის ტიპური მოვლენა, რადგან ადამიანები არ არიან ინფორმირებული ამ სახის სიკეთეებზე. სახელმწიფოს აქვს უფლება და კონსტიტუციაშიც არის გათვალისწინებული, რომ საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე იყოს გარკვეული იძულება, – განაცხადა ლევან სურგულაძემ.

საპენსიო ფონდის დირექტორი არც იმ ვარაუდს იზიარებს, რომ ფონდში შეტანილი თანხა დროთა განმავლობაში გაუფასურდება.

– საპენსიო თანხების ინვესტირება ხდება, შესაბამისად თანხას ერიცხება გარკვეული სარგებელი და ეს სარგებელი ინფლაციას დაარეგულირებს. ვვარაუდობთ, 7-8 პროცენტამდე იქნება სარგებელი, იმ შემთხვევაში კი, თუ ინფლაცია გაიზრდება, გაიზრდება ამონაგები იმ ინსტრუმენტიდან, რა ინსტრუმენტშიც მოთავსებულია ეს თანხები, – ამბობს სურგულაძე.

საკონსტიტუციო სასამართლომ გუშინ ორი ორგანიზაციის სარჩელი განიხილა, რომლებიც საპენსიო რეფორმის შეჩერებას ითხოვენ.

შეგახსენებთ, პირველი იანვრიდან საპენსიო სქემაში ავტომატურად გაწევრიანდა საქართველოში დასაქმებული ყველა მოქალაქე და მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე უცხო ქვეყნის რეზიდენტი, რომლებსაც კანონის ამოქმედების მომენტში ქალბატონებს 55, ხოლო მამაკაცებს 60 წელი არ ჰქონდათ შესრულებული.

პირველი აპრილიდან 31 მაისის ჩათვლით, საპენსიო რეფორმაში ჩართულ პირებს, რომლებსაც კანონის ამოქმედების მომენტისათვის, ანუ 2018 წლის 6 აგვისტოსთვის 40 წელი შეუსრულდათ, სისტემის დატოვება განცხადების საფუძველზე შეეძლებათ.

ყოველთვიურად დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე მისი დაუბეგრავი ხელფასის 2% მიემართება, ორ-ორი პროცენტის შენატანს კი დამსაქმებელი და სახელმწიფო განახორციელებს.

**კომერსანტი**

# აკაკი ცომაია: „ბიძინა ივანიშვილის დავალებით საფინანსო ინსტიტუტები იძულებული გახდნენ, სესხები გაენულებინათ“



– სისტემა მოდის და გაძალებს ადამიანებს, კონკრეტული სამსახური გაუწიო – რბილად რომ ვთქვათ, ეს არის არაკანონიერი ქმედება, ეს არ არის სამართლებრივი სახელმწიფო, – ასე აფასებს ეკონომიკის ექსპერტი აკაკი ცომაია მამუკა ხაზარაძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ბანკებს პრობლემური სესხების განულება აიძულეს. ექსპერტი აცხადებს, რომ პროცესები ბიძინა ივანიშვილის დავალებით მიმდინარეობდა.

– მამუკა ხაზარაძის განცხადება აბსოლუტურად რეალურად მეჩვენება იმიტომ, რომ ამას მარტო ხაზარაძე არ ამბობს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ფონდ ქართუს“ სინამდვილეში არ გამოუქვეყნებია, რა დაუჯდა სესხების განულება. გადარიცხული თანხა არის ძალიან მცირე და უმნიშვნელო იმ საკრედიტო პორტფელისთვის, რომელიც ფინანსურ ინსტიტუტებს გააჩნიათ. ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ, ბიძინა ივანიშვილის დავალებით, ბანკები და სხვა საფინანსო ინსტიტუტები აიძულა, რომ მათ ჩამოეწერათ ვალი მოსახლეობისათვის და შეგნებულად წასულიყვნენ ზარალზე იმისათვის, რომ „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილ კანდიდატს არჩევნები მოეგო. ამ ლოგიკიდან გამომდინარე ეუთომ თავის დასკვნაში მკაფიოდ დააფიქსირა პოზიცია, რომ ადგილი ჰქონდა ხმების ყიდვას, – აცხადებს აკაკი ცომაია.

„კომერსანტთან“ თავის პოზიციას აფიქსირებს ეკონომიკის დოქტორი ირაკლი მაკალათიაც, რომელიც აცხადებს, რომ სესხების განულების პროცესის გაუმჭვირვალედ დასრულება ძალიან ბევრ კითხვას აჩენს.

– კარგი იქნებოდა, თუ სესხების განულების პროგრამა გამჭვირვალე იქნებოდა და საჯაროდ გამოიტანდნენ იმ ინფორმაციას, თუ როგორი პრობლემური სესხები განულდა, ანუ როგორი შეფასება ჰქონდა ამ სესხებს, სანამ ჩამოაწერდნენ. ამ ინფორმაციას არ ასაჯაროებენ, რაც აჩენს ეჭვს, რომ პროგრამა ხარვეზებით განხორციელდა. შესაძლებელია, მამუკა ხაზარაძის მიერ გავრცელებული ინფორმაციაც სრული სიმართლე იყოს, იძულების ფაქტი კი ბიზნესში დაუშვებელია. როდესაც სახელმწიფო უხეშად და კანონის დარღვევით ერევა სუბიექტის ბიზნესსაქმიანობაში, ეს ცალსახად მიუღებელია, – ამბობს მაკალათია.

# აფხაზეთის ომის ვეტერანები უშიშროების საბჭოს შეკრებას მოითხოვენ

## ოპოზიციის ლიდერი: „ნავთობის თემით ხაჯიმბა წინასაარჩევნოდ დივიდენდების მიღებას ცდილობს“

მარიამ მჭედლიშვილი

სანავთობო ციებ-ცხელებას ოკუპირებულ აფხაზეთში მთელი საზოგადოება შეუერთდა. 1992-93 წლების ომის ვეტერანების ორგანიზაცია „აბააში“ მოითხოვს, რომ ამ საკითხზე შეიკრიბოს რეგიონის უშიშროების საბჭო. ვეტერანების მოთხოვნით, ამ ეტაპზე უნდა შეჩერდეს ნავთობმომპოვებელი სამუშაოები აფხაზეთის ტერიტორიაზე.

– საეჭვო კომპანიები და კორუფციული სქემები ის ფაქტორებია, რომლებიც აღიზიანებს საზოგადოებას. სანამ ვითარება კონტროლირებადია, საჩქაროდ უნდა შეიკრიბოს უშიშროების საბჭო. მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ნავთობის მოპოვების მომზადებისათვის აუცილებელი ნებისმიერი სამუშაოს შეწყვეტის თაობაზე. ქვეყნის ხელმძღვანელობა ვალდებულია, მოსახლეობას ღიად და პატიოსნად მოახსენოს ამ მიმართულებით წარმოებული ნებისმიერი საქმიანობის შესახებ, – აცხადებენ ვეტერანები.

მოწოდების ავტორები ირწმუნებიან, რომ მათთვის ცნობილი გახდა აფხაზეთის ტერიტორიაზე ნავთობის მოპოვების გეგმების დეტალები. ვეტერანები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ამ სფეროში კერძო კომპანიების შემოყვანას.

მიმართვის ავტორების აზრით, ეს საკითხი უსაფრთხოების რანგშია აყვანილი. ნებისმიერი საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს აფხაზეთის უშიშროების დაცვის გათვალისწინებით. უშიშროება ნიშნავს როგორც ეკონომიკურ, ისე ეკოლოგიურ დაცულობას. აფხაზეთის ეკონომიკას საქმიანობიდან უნდა ჰქონდეს სარგებელი, მის უნიკალურ ბუნებას კი ზიანი არ უნდა ადგებოდეს. მათი აზრით, სწრაფი დივიდენდების დევნაში არავის უნდა დაავიწყდეს აფხაზეთის სუვერენიტეტი.



რა ახალი დეტალები შეიტყვეს ვეტერანებმა ნავთობის ბიზნესზე, უცნობია.

ბოლო დროს ოკუპირებულ რეგიონში ამ საკითხზე საჯაროდაც გამოითქვა დაუსაბუთებელი ბრალდებები. კერძოდ, დეპუტატმა ჯოპუამ რუსულ კომპანიებთან გარიგებასა და ერთობლივ კორუფციულ სქემებში ყოფილი პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი და ყოფილი პრემიერი ლეონიდ ლაკერბაია დაადანაშაულა. ანქვაბმა და ლაკერბაიამ ეს ბრალდებები არასერიოზულად მიიჩნიეს, აფხაზეთის პროკურატურა კი საკითხის შესწავლას შეუდგა.

– ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებულ საკითხში ცილი დასწამეს ცნობილ ადამიანებს. შესაბამისმა ორგანოებმა ამ ადამიანების წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდებები არ დაადასტურეს, – აცხადებს აფხაზეთის სახალხო კრების დეპუტატი ასლან ბჟანია.

მისი შეფასებით, ნავთობის თემა დაატრიალეს იმ ადამიანებმა, რომლებსაც წინასაარჩევნოდ დივიდენდების მიღება უნდათ. ამ მხრივ ყველას მოქმედი პრეზიდენტი ხაჯიმბა უსწრებს.

საარჩევნო სანავთობო დივიდენდებზე წინა დღეებში ეჭვი სხვა დეპუტატებსაც გაუჩნდათ. მაშინ აფხაზურ პარლამენტში დიდი დავიდარაბა ატყდა. ამის გამო ვერ შეიქმნა კომისია, რომელიც დადებდა დასკვნას აფხაზეთში ნახშირწყალბადების მოძიების, მოპოვების ეკონომიკურ ეფექტურობაზე და ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე.

ასლან ბჟანიას იმედი აქვს, რომ ასეთი საპარლამენტო კომისია შეიქმნება. დავას იწვევს ამ სფეროში მომუშავე კომპანია „აფსნი ოილის“ საქმიანობა. დეპუტატების ნაწილის აზრით, ამ კომპანიის მიერ წარმოებული სადაზვერვო მოძიებითი სამუშაოები კომისიის დასკვნამდე უნდა შეჩერდეს. დანარჩენი კანონმდებლები ამის აუცილებლობას ვერ ხედავენ.

ბჟანიას თქმით, ნახშირწყალბადების საკითხს ერთიანად უნდა მიუდგნენ.

გაუგებარია ნავთობის საკითხზე დე ფაქტო პრეზიდენტ ხაჯიმბას პოზიცია. ოპოზიციონერობისას იგი აფხაზეთში ნავთობის მოპოვების წინააღმდეგი იყო. არსებობს აზრი, რომ ამჟამად ხაჯიმბა ამას დათანხმდა.

აფხაზეთის საზოგადოების ნაწილი საერთოდ ნავთობის მოპოვების წინააღმდეგია. უმრავლესობა აცხადებს, რომ ეს საქმიანობა ეკოლოგიური სტანდარტების გათვალისწინებით უნდა დაიშვას მხოლოდ „სახელმწიფო“ კომპანიებისათვის, მოგება კი ხალხზე უნდა გადანაწილდეს. არაოფიციალურად საუბარია იმაზე, რომ ეს სფერო ხელში რუსებს არ უნდა ჩაუგდონ.

# იაგო ხვიჩია: „არავის მოეთხოვება იმდენი თავისუფლებისთვის ბრძოლაში, რამდენიც კოკა-კოლას“

პოლიტიკური გაერთიანება გირჩის ერთ-ერთი ლიდერი იაგო ხვიჩია სოციალურ ქსელ Facebook-ზე ბიზნესმენ თემურ ჭყონიას მისამართით წერილს აქვეყნებს. „კომერსანტი“ ტექსტს უცვლელად გთავაზობთ:



„ბატონი თემური გაგვიბრაზებია და საერთოდ არაა ცუდი, რომ გაბრაზდა, გასაბრაზებელი რამ ვაკადრეთ და უნდა გაბრაზებულიყო კიდეც. ეს განასხვავებს მას სხვებისგან, რომლებიც არ ბრაზდებიან მაშინაც კი, როცა უნდა გაბრაზდნენ.

ბატონი თემური დაუფასებლობაში გვდებს ბრალს და გაჩუმებას გვირჩევს.

მე კიდევ სულ მინდოდა ამ კაცზე და მისი ცხოვრების საქმეზე საუბარი და სულ მეშინოდა ,არაადეკვატურად არ გამომსვლოდა, ახლა ვცდი.

ბიუჯეტში რამდენი აქვს გადახდილი ჩემთვის, მეორეხარისხოვანია (თუმცა მესმის, რასაც ამბობს).

რის გამოც ნამდვილად ვაფასებ, არის ის, რომ ეს კაცი ჩემთვის მსოფლიოში ყველაზე მაგარი სასმელის და ყველაზე მაგარი რესტორნის შემქმნელია ამ ქვეყანაში, ჯერ კიდევ ბნელ 90-იან წლებში.

ყველა ჩემმა ახლო მეგობარმა იცის, რომ ის ყოველდღიურად მამარაგებს ორი ისეთი პროდუქტით, რომლის გარეშეც ჩემი ცხოვრება ბევრად უფერული იქნებოდა.

მე ვიცი ყველა იმ სიახლის შესახებ, რომელიც მის რესტორანში ხდება, პირველივე დღეს ვსინჯავ ნებისმიერ ახალ პროდუქტს, რომელსაც მაკდონალდსი და კოკა-კოლა მთავაზობს.

ოდესღაც ვეგეტარიანელობაზე უარი ვთქვი, იმიტომ რომ მივხვდი, შეუძლებელი ამოცანა იქნებოდა უარის თქმა ორმაგ ჩიზბურგერზე (და ხინკალზე).

რაც მთავარია, მე ზუსტად მესმის, ამ ადამიანის რამხელა შრომა და ძალისხმევა დგას ამის უკან.

ჩემთვის მისი ბიზნესი ხალხთა ექსპლუატაციის და ჩაგვრის წყარო კი არაა, როგორც სულელებს ჰგონიათ, არამედ ადამიანთა გადარჩენისა და მინიმალური შემოსავლის მოპოვების ყველაზე იოლი გზა.

ყოველთვის ზუსტად ვიცი, ყველა გზა რომ გადაეკეტოს ადამიანს არსებობის, მაკდონალდსს აუცილებლად ექნება ვაკანსია იმ ხალხისთვის, ვისაც მუშაობა ნამდვილად უნდა.

ვიცი ისიც, თუ როგორ უყვარს თავის „შვილები“ და როგორ ამაყობს იმით, რაც გააკეთა.

ამიტომ არის სასაცილო ჩემთვის დაუფასებლობის ბრალდებები და არ შევყვები.

თუმცა მაინტერესებს, რა იქნება ჩემგან სწორი საქციელი, თუ ერთ დღეს გავიგებ, რომ ამ ყველაფერს უსამართლოდ საფრთხე ემუქრება მთავრობისგან?

რა რეკომენდაცია აქვს ასეთ დროს ბატონ თემურს, მისი აზრით, რა უნდა გააკეთოს ასეთ დროს მორალურმა ადამიანმა?

თიბისი ბანკის საქმე, გარდა იმისა, რომ მთავარი პოლიტიკური ამბავია ქვეყანაში და, პოლიტიკოსი თუ გქვია, გევალება, ამ ამბავს სათანადო ყურადღება მიაქციო, ჩემთვის პირადი ამბავიცაა.

ისევე, როგორც კოკა-კოლა და მაკდონალდსი, თიბისი ბანკიც ჩემი ფავორიტი ბრენდია.

ბუნებრივად მოხდა ისე, რომ მთელი ცხოვრება სხვა ბანკში ვიღებდი ხელფასს და ფულს ვსესხულობდი თიბისისგან, ასე მოხდა ბუნებრივად.

მათ მასესხეს ფული, როცა სახლს ვაშენებდი, ანუ მათი დამსახურებაცაა, რომ ჭერი მაქვს.

და ვერასოდეს გავიგებ იმ ადამიანებისას, ვისაც ეს პატივისცემად და სამადლობელ საქმედ არ მიაჩნიათ.

საშიშია ასეთი ხალხი.

ამ ბანკის დაცვა დაგვიწუნა ბატონმა თემურმა, თქვა, რომ არაფერი გაგვიკეთებია არც ერთ სფეროში (მიუხედავად იმისა, რომ არ გვიცნობს და, შესაბამისად, არასწორი წარმოდგენა აქვს „გირჩზე“).

მაგრამ არაფერი არ თქვა იმ მთავარზე, რის გამოც გავაკრიტიკეთ.

– სწორად ექცევიან თუ არა თიბისი ბანკს?

ჩვენი კრიტიკა ხომ სწორედ ამას შეეხებოდა და არა იმას, ვის რამდენი შეაქვს ბიუჯეტში ან ვის რა დამსახურება აქვს ქვეყნის წინაშე.

რამდენიც არ უნდა შეიტანოს ბიუჯეტში ბატონმა თემურმა, ამას ამ საქმესთან კავშირი არ აქვს.

რადგან ეს ამბავი ბიუჯეტის შევსებას კი არა, ადამიანურ სოლიდარობასა და თავისუფლებისთვის ბრძოლას ეხება.

ჩვენი აზრით კი არავის არ მოეთხოვება იმდენი თავისუფლებისთვის ბრძოლაში, რამდენიც კოკა-კოლას.

ასეთია ჩვენი დამოკიდებულება და ამიტომ ვბედავთ იმას, რასაც ვბედავთ, მართლები ვართ.

პატივისცემით, იაგო ხვიჩია.

კომერსანტი

# ჭყონია: „ამათ რომ ხმა ამოიღეს, ხომ კრამიტები დაამტვრიეს“

– მე ვიღაც-ვიღაცების მოწოდებებზე არ გამოვდივარ. ამ კომუნისტურ მენტალიტეტს რომ ებრძვიან, მოწოდებები იმასთან დაკავშირებით,



რომ გამოდით, აბა რა არის? – ამის შესახებ განცხადება bm.ge-თან ბიზნესმენმა თემურ ჭყონიამ გააკეთა. მისი თქმით, ის აღქმა, რომ ბიზნესს ეშინია, არასწორია და მისთვის გაუგებარია, საერთოდ საიდან მოვიდა ეს განცდა.

– ბიზნესმენებს სურთ თავიანთი აზრის დაფიქსირება, მაგრამ ამ ტიპის მესიჯებმა, რაც ბოლო დღეებში წამოვიდა, მათ ყოველგვარი სურვილი დააკარგვინა. ამათ რომ ხმა ამოიღეს, ხომ კრამიტები დაამტვრიეს? რა უფლება აქვთ, ვინ არიან? რას წარმოადგენენ? რა სამუშაო ადგილებს ქმნიან? რაში გამოიხატება შიში? ან საერთოდ რა შუაშია შიში? ბიზნესი ფიქრობს, მსჯელობს და ელოდება.

ვინაა წითელი დირექტორი? ზოგი იტყვის, რომ ძველი პლეადიდან მარტო მე დავრჩი. ორი უდიდესი ბრენდი შემოვიყვანე საქართველოში. მამუკა ხაზარაძე ჩემი 28 წლის მეგობარია და როგორ შემიძლია, რომ არაობიექტური ვიყო? – აცხადებს ბიზნესმენი.

კომერსანტი

# 6 წლის განმავლობაში პარალიზებული კურორტ „გომარდულის“ განვითარება იწყება



აჭარაში სამთო-სათხილამურო კურორტ „გომარდულის“ განვითარება იწყება. როგორც ცნობილია, კურორტი 6 წლის განმავლობაში დაყადაღებული იყო. დღეს „გომარდულის“ ხელმძღვანელი ჯემალ დარჩიძე „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ პრემიერ-მინისტრის განკარგულებითა და აჭარის მთავრობის დახმარებით, 2019 წლის იანვარში კურორტს 20.000 ლარის გადახდის სანაცვლოდ ჩამოეწერა მიწის გადასახადის გადაუხდელობით დაგროვილი 1.5 მილიონი ლარი და ყადაღა მოეხსნა.

მისი განცხადებით, არსებობს კურორტის განვითარების 3 წლიანი სტრატეგია, რომლის შედეგადაც „გომარდულს“ ერთჯერად 1.000 ვიზიტორის მიღება შეეძლება. დარჩიძის განმარტებით, კურორტის არქიტექტურულ პროექტში უახლოეს მომავალში გარკვეული შესწორებები შევა, ის შემდეგაც სამშენებლო პროცესი დაიწყება.

დარჩიძის განცხადებით, ადგილზე დაგეგმილია რამდენიმე კოტეჯის მშენებლობა, სტადიონის და ექსტრემ პარკის მოწყობა. საუბარია, 12 ჰექტარ ტერიტორიაზე. დაგეგმილია 300.000 ლარის ინვესტიციის განხორციელება.

როგორც დარჩიძე განმარტავს, კურორტის 10%-იანი წილის მფლობელი აჭარის მთავრობაა. რა ინტერესი აქვს აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომ კურორტი „გომარდული“ გაჩერებული იყოს, უცნობია. „ჩვენ ხელისუფლება არ გვყავს, გვაქვს მხოლოდ ქვეყანა, რომელსაც პატრონი არ ჰყავს“, – აცხადებს დარჩიძე.

ამ დროისთვის კურორტზე 5 სასტუმრო სახლი და რესტორანია. ჯამში კი, დღევანდელი მდგომარეობით, შესაძლებელია 60 ვიზიტორის სტუმრობა.

კომერსანტი

# ლევან დავითაშვილი: „მე პირადად ვიყავი ჭიათურაში და იქ მართლა კატასტროფაა“



– მე პირადად ვიყავი ჭიათურაში და იქ მართლა კატასტროფაა!

ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა პარლამენტში, „მინისტრის საათის“ ფარგლებში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მინისტრი გამოეხმაურა რამდენიმე დეპუტატის, მათ შორის „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, სერგი კაპანაძის კრიტიკას იმასთან დაკავშირებით, რომ ჭიათურაში ეკოლოგიური კატასტროფაა. მინისტრი სერგი კაპანაძის განცხადების სულისკვეთებას იზიარებს.

– რაც შეეხება ჭიათურას, კომპანია GM-ს და იქ სპეციალური მმართველის ყოფნას, ასევე იქ ეკოლოგიური კუთხით არსებულ გარკვეულ გამოწვევებს. არ შეიძლება არ დავეთანხმო სერგი კაპანაძის სულისკვეთებას, მე პირადად ვიყავი ჭიათურაში და მართლა კატასტროფაა. აქ არ შეიძლება რბილი შეფასებები და ეს ჩემი მხრიდან არც იქნება. სახელმწიფოს რეაგირება არის, რომ როცა სპეციალური მმართველი დაინიშნა, დაესახა გეგმა, რომ იქ ეკოლოგიური მდგომარეობა გამოსწორდეს. იქ გარკვეულწილად სიტუაცია გაუმჯობესდა, თუმცა ჩვენთვის ეს მისაღები არ არის. ვფიქრობ მკვეთრი ნაბიჯებია გადასადგმელი, თუმცა აქაც არის მემკვიდრეობითი, მრავალი წლის დაგროვილი პრობლემები. გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მუშაობს სპეციალურ მმართველთან, რომ მოხდეს გეგმის გადახედვა, – განაცხადა მინისტრმა.

# ლიბერთის დაყაჩაღებისთვის პოლიციელი ომარ ხუხუაა დაკავებული

ზუგდიდში „ლიბერთი ბანკის“ ინკასაციის მანქანაზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა გახსნილია.

დაკავებულია ორი ადამიანი.

თავდასხმა 2 მარტს მოხდა. ბრალდებულებმა ინკასაციის მანქანას ცეცხლი გაუხსნეს.

შემთხვევის შედეგად დაიჭრა ინკასატორიც.

სამართალდამცველების ინფორმაციით, ინკასაციის თანამშრომლის დაყაჩაღებამდე შენიღბულმა ბრალდებულებმა დანაშაული სოფელ ონორიაშიც ჩაიდინეს. მათ ელექტროსადგურის თანამშრომლებს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. სწორედ აქ გაიტაცეს მათ ავტომობილიც, რომლითაც მოხდა ინკასაციის მანქანაზე თავდასხმა.

„ნიუპოსტისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ლიბერთი ბანკის დაყაჩაღების საქმეზე დაკავებული არიან ომარ ხუხუა და ჯემალ ჯიქია.

55 წლის ომარ ხუხუა განსაკუთრებულ დავალებათა მეორე სამმართველოს მოქმედი თანამშრომელია. ის აფხაზეთიდან დევნილია და ზუგდიდში ცხოვრობს.

პოლიციელის დაკავების ფაქტი შს სამინისტროში „ნიუპოსტს“ ოფიციალურად დაუდასტურეს:

– შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ზუგდიდში „ლიბერთი ბანკის“ ინკასატორების დაყაჩაღების ფაქტზე დაკავებულთა შორის ერთ-ერთი სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელია. 1964 წელს დაბადებული ო.ხ. არის ომის ვეტერანი, ის სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტში რიგით პოზიციაზე 2004 წლიდან არის დასაქმებული, – აღნიშნეს შს სამინისტროს პრესსამსახურის წარმომადგენლებმა.

„ბრალდებულებმა წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, დიდი ოდენობით მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით რამდენიმე ყაჩაღური თავდასხმა დაგეგმეს.




გ.ჯ. და ო.ხ. მიმდინარე წლის 2 მარტს, დილის საათებში, ზუგდიდში მდებარე „ლიბერთი ბანკის“ ფილიალთან ბანკის საინკასაციო მანქანას თავს დაესხნენ და ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენეს ბანკის ერთ-ერთ ინკასატორს.

ბრალდებულებმა საინკასაციოდ გამზადებული ფული, ინკასატორების კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღები გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მსუბუქი ავტომობილით მიიმალნენ“, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

გუშინ ჟურნალისტები სოფელ ჭითაწყარში, ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში იმყოფებოდნენ.

ომარ ხუხუას წევრები მედიასთან კომენტარს არ აკეთებენ. სოფელ ჭითაწყარში ჟურნალისტების გამოჩენას უკმაყოფილება მოჰყვა.

ხუხუას ოჯახის წევრებმა მედიის წარმომადგენლებს ქვები დაუშინეს, დედამ კი ჟურნალისტების კითხვაზე, რა იყო ყაჩაღობის მოტივი, თქვა:

– კარგი ცხოვრება გვაქვს და იმიტომ.

ადგილობრივების თქმით, ხუხუას მჭიდრო კავშირი აქვს „ტყის ძმების“ მეთაურ დათო შენგელიასთან.

„ნიუპოსტის“ წყარო ძალოვანი უწყებიდან აცხადებს, რომ საქმეზე დაკავებულებისგან ამოიღეს რუსული წარმოების იარაღი „აკაელი“.

გამოძიება 4 მუხლით მიმდინარეობს, დანაშაული კი 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# პროკურორი: „გიორგი ქადაგიძემ განაცხადა, რომ თიბისის შემოწმების პროცესი არ ახსოვს“



– ცხადია, სრულად ვიღებ პასუხისმგებლობას იმ საკითხზე, რომელიც ეროვნული ბანკისა თუ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ იქნა განხორციელებული ჩემი მმართველობის პერიოდში.

ამის შესახებ ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ ჟურნალისტებს გუშინ, 7 მარტს, სასამართლოში გამოკითხვის შემდეგ განუცხადა.

როგორც ქადაგიძემ აღნიშნა, ის მზად არის, ნებისმიერ კითხვას ნებისმიერ ფორმატში უპასუხოს.

– ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ფორმატში მზად ვარ ვუპასუხო კითხვებს, განსაკუთრებით, თუ ეს ეხება 2008-2009 წლის მოვლენებს და როგორ მოხდა რეაგირება ძალიან რთულ ვითარებაზე, რომელიც საქართველოში შეიქმნა იმ დროს.

ეს გამოცდილება ნამდვილად არის გასაზიარებელი და ეს გამოცდილება აღნიშნულია უამრავ საერთაშორისო დასკვნაში, – აღნიშნა ქადაგიძემ და დასძინა, რომ მიუხედავად იმისა, ესა თუ ის ფაქტი რა ხანდაზმულობის და ვადისაა, სრულად იღებს პასუხისმგებლობას იმ საკითხზე, რომელიც ეროვნული ბანკის თუ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ იქნა განხორციელებული მისი მმართველობის პერიოდში.

მისივე განცხადებით, სასამართლოში არც ერთი კითხვა არ იყო დასმული უშუალოდ იმ ტრანზაქციაზე, რასაც პროკურატურა თიბისი ბანკის დამფუძნებლებს ედავება.

– ყველაზე უფრო ადრეული პერიოდი კითხვების შინაარსიდან გამომდინარე იყო 2008 წლის 2 სექტემბერი, – განაცხადა ქადაგიძემ.

გამოკითხვის შემდეგ კომენტარი პროკურორმა არჩილ ტყეშელაშვილმაც გააკეთა.

– გიორგი ქადაგიძემ გამოძიების შეკითხვებს პასუხები ვერ გასცა, როგორც მან განაცხადა, არც თიბისი ბანკის შემოწმების პროცესი ახსოვს და არც ბანკის შემოწმების შედეგები, – განაცხადა პროკურორმა

როგორც ტყეშელაშვილი განმარტავს, ქადაგიძემ გამოძიებას მნიშვნელოვანი ინფორმაცია ვერ მიაწოდა.

მისი თქმით, ქადაგიძესთან კითხვები როგორც თიბისი ბანკის შემოწმების პროცესთან დაკავშირებით ჰქონდათ, ასევე – შემოწმების შედეგთანაც.

– გიორგი ქადაგიძემ გამოძიებას ვერ მიაწოდა ვერანაირი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ვინაიდან ყველაფერზე აცხადებს, რომ ეს დეტალები არ ახსოვს.

გიორგი ქადაგიძე 2008 წელს იყო საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი, აღნიშნულ პერიოდში, ამ სააგენტოს ჩატარებული აქვს თიბისი ბანკის შემოწმება და გიორგი ქადაგიძე, როგორც ხელმძღვანელი, იყო ამ პერიოდში ამ სააგენტოში.



ჩვენ გაგვაჩნდა შეკითხვები შემოწმების პროცესთან და შემოწმების შედეგთან დაკავშირებით და, როგორც გიორგი ქადაგიძე აცხადებს, მას არ ახსოვს არც შემოწმების პროცესი და არც შემოწმების შედეგები.

სხვა დეტალებზე, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, პასუხებს ვერ გაგცემთ, – განაცხადა პროკურორმა ტყეშელაშვილმა.

# ლელა ქსოვრელის სასამართლო სხდომა სრულად დაიხურა

სანზონაში გარდაცვლილი 4 წლის გოგონას დედის, ლელა ქსოვრელის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომა სრულად დაიხურა.

სხდომის დახურვის შუამდგომლობა ბრალდების მხარემ დააყენა, რასაც დაცვის მხარეც დაეთანხმა.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ლელა ქსოვრელმა მისი საქმის ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით განხილვაზე უარი თქვა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს პროცესის დასრულების შემდეგ პროკურორმა ლევან ჟორჟოლაძემ განუცხადა.

როგორც პროკურატურაში ამბობენ, 4 წლის გოგონას ქსოვრელმა თავის არეში სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები მიაყენა ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმის სახით, რამაც მცირეწლოვანი გოგონას ტვინის მკვეთრი



შეშუპება და სისხლჩაქცევა გამოიწვია, რის შედეგაც ის გარდაიცვალა.

– 2019 წლის 25 თებერვალს ლ.ქ.-ს წარედგინა დაზუსტებული ბრალი საქართველოს სსკ-ის 111.117-ე მუხლის მე-6 ნაწილით, რაც გულისხმობს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, რამაც მისი სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ.

ასევე, 111.126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, რაც ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის სისტემატურ ცემასა და ძალადობას გულისხმობს, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ და 111.381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობას გულისხმობს, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2019 წლის 21 იანვრიდან – 22 იანვრამდე ღამის პერიოდში, ლ.ქ.-მ თავის არასრულწლოვან შვილს ნ.ზ.-ს თავის არეში მიაყენა სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები, ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმის სახით. მიყენებულმა დაზიანებებმა გამოიწვია სისხლჩაქცევა და თავის ტვინის მკვეთრი შეშუპება, შედეგად 2019 წლის 22 იანვრის დილის საათებში ნ.ზ. გარდაიცვალა, – აცხადებენ პროკურატურაში.

შეგახსენებთ, რომ 22 იანვარს, სანზონაში 4 წლის ბავშვი გარდაიცვალა. სამართალდამცავებმა გარდაცვლილი გოგონას დედა, ლელა ქსოვრელი, შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისთვის დააკავეს.

მას არასრულწლოვანთან კონტაქტი ეკრძალებოდა.

ქსოვრელს აღკვეთის ღონისძიების სახით სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა.

# სადახლოსა და წითელ ხიდზე 93.040 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს



სადახლოსა და წითელ ხიდზე 93.040 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, 14 თებერვლიდან 7 მარტის ჩათვლით, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „სადახლო-საავტომობილო“ და „წითელი ხიდი“ არადეკლარირებული სიგარეტის ქვეყნის საზღვარზე კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს, ირანის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოქალაქეების ფიზიკური და მათი მართვის ქვეშ არსებული ავტომობილების დათვალიერების შედეგად, ჯამში, 93,040 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი და 1 ცალი სიგარეტის მოსაწევის აპარატი აღმოაჩინეს.

– საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი, სატრანსპორტო საშუალება და სანქციის სახით, თითოეულს, ფულადი ჯარიმა, ათას ათასი ლარის ოდენობით შეეფარდათ, ხოლო 14 თებერვალს, 2 და 4 მარტს, საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო-საავტომობილო“, აღმოჩენილი სამართალდარღვევების საქმეთა მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა, – აცხადებენ უწყებაში.

# „რომ მოვედი, დაჩეხილი იწვა თოვლში უსულოდ. უმცროსი ჩაცუცქული ტიროდა“

## რას ყვება ძმის მიერ მოკლულის დედა

6 მარტს ბაკურიანში ახალგაზრდა მამაკაცმა ურთიერთშელაპარაკების შედეგად საკუთარ ძმას ცივი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. 30 წლამდე მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

მკვლელობა მოკლულის დაბადების დღეს მოხდა. ისინი სახლში მარტო იყვნენ.

აი, რას ყვება ძმების დედა:

– ჩხუბი და რამე არ მოსვლიათ არაფერი. სამსახურში ვიყავი წასული. რომ მოვედი სახლში, დაჩეხილი იყო ეგ. ეს რა ვნახე, ხალხო, უსულოდ ეგდო. არ ვიცი, რა მოხდა. პატარა იქ იყო ჩაცუცქული, ტიროდა და უფროსიც ეგერ იწვა თოვლში.

პოლიციამ ბრალდებული ი.ბ. დანაშაულის ჩადენიდან მალევე დაბა ბაკურიანში დააკავა.

„სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდა, რომ დაბა ბაკურიანში ოჯახური კონფლიქტისა და ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ბრალდებულმა ძმას 1989 წელს დაბადებულ გ.ბ.-ს ცივი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. 30 წლამდე მამაკაცი მიღებული ჭრილობებით საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა“, – აცხადებენ შსს-ში.

შსს-მ ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით დაიწყო. დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



# აშშ თურქეთზე ზეწოლას აძლიერებს



აშშ უკმაყოფილოა თურქეთის პოლიტიკით. საუბარია თურქეთის ხელისუფლების მიერ რუსული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის ყიდვის შესახებ.

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ჯონ ბოლტონმა თურქები გააფრთხილა:

– თუკი რუსულ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსს მაინც იყიდით, ამას თქვენთვის სამწუხარო შედეგი მოჰყვება!

თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა თავის ინტერვიუში განაცხადა, რომ თურქეთი აუცილებლად შეიძენს რუსულ კომპლექსს. ამავე დროს, მან ხაზი გაუსვა, რომ თურქეთი ნატოში რჩება და აშშ-ს თავის უახლოეს მოკავშირედ განიხილავს.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩავუშოღლუმ კი განაცხადა:

– ჩვენს ნატოელ მოკავშირეებს მუქარა არ შეშვენით!

ჩავუშოღლუ ფიქრობს, რომ რუსული იარაღის შეძენა სამწუხარო აუცილებლობა იყო.

– ჩვენ მოკლებული ვიყავით შესაძლებლობას, იარაღი სხვაგან შეგვეძინა, – ამბობს თურქი მინისტრი.

# რუსეთში ხელისუფლების შეურაცხყოფა დასჯადი გახდება

რუსეთის პარლამენტმა კანონი მიიღო, რომლის თანახმად, ინტერნეტში ხელისუფლებაზე უპატივცემულო პუბლიკაციები დასჯადი გახდება.

შემოღებულია ჯარიმა ისეთი ინფორმაციის გავრცელებისთვის, რომელიც შეურაცხყოფას აყენებს ადამიანურ ღირსებასა და საზოგადოებრივ ზნეობას, უპატივცემულობას ავლენს საზოგადოებისადმი, სახელმწიფოსადმი, რუსეთის ოფიციალური სიმბოლოებისადმი, რუსეთის კონსტიტუციისა და ხელისუფლების ორგანოებისადმი.

ამგვარი ქმედებები 30-დან 100.000 რუბლამდე ჯარიმით დაისჯება, ხოლო განმეორების შემთხვევაში – 100.000-დან 200.000 რუბლამდე ჯარიმით ან 15 დღემდე დაპატიმრებით.



# მადუროს ხელისუფლებამ გერმანიის ელჩი ქვეყნიდან გააძევა



ვენესუელის დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერი და ქვეყნის დროებითი პრეზიდენტი გუაიდო კარაკასში დაბრუნდა. ის გერმანიის ელჩ კირნერს შეხვდა. საუბარმა ორ საათს გასტანა.

ვენესუელის დე ფაქტო პრეზიდენტმა მადურომ ეს შეხვედრა ვენესუელის შიდა საქმეებში ჩარევად აღიქვა. მან გერმანიის ელჩი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა.

– კირნერი მოვალეა, 24 საათის განმავლობაში ვენესუელა დატოვოს, – ნათქვამია მთავრობის განცხადებაში.

ამასობაში ხუან გუაიდომ განაცხადა, რომ განაგრძობს დროებითი პრეზიდენტის მოვალეობების შესრულებას.

– განვაგრძობ პრეზიდენტის მოვალეობების შესრულებას, რათა განვახორციელო ის იმედები, რომლებიც ჩვენს ხალხს ბოლო დღეებში გაუჩნდა, – განაცხადა ხუან გუაიდომ პარლამენტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას.

მან მოუწოდა თავის მომხრეებს, განაგრძონ ბრძოლა ნიკოლას მადუროს წინააღმდეგ.

– დაგეგმილი მაქვს შეხვედრა პროფკავშირებთან, სადაც განვიხილავთ გაფიცვის გამართვის საკითხს, შაბათს კი ისევ ქუჩებში გამოვალთ, რათა ქვეყანაში ჰუმანიტარული დახმარების შემოშვება მოვითხოვოთ, – აღნიშნა გუაიდომ.

# ნატომ უკრაინის პრაქტიკული მხარდაჭერა გააძლიერა

შავ ზღვაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ვითარების გამო ნატომ უკრაინის პრაქტიკული მხარდაჭერა გააძლიერა.

ამის შესახებ ნათქვამია ნატო-უკრაინის კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ გავრცელებულ განცხადებაში.

„ნატო კვლავ მოუწოდებს რუსეთს, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს უკრაინელი მეზღვაურები და გემები, რომლებიც დაკავებული იყო გასული წლის ნოემბერში ქერჩის სრუტეში. ალიანსის წევრებმა უკრაინისთვის პრაქტიკული მხარდაჭერის დონე გაზარდეს შავ ზღვაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ვითარების გამო“, – ნათქვამია განცხადებაში.

ასევე აღნიშნულია, რომ ნატო-უკრაინის კომისიის სხდომაზე მხარეებმა ყირიმში არსებული ვითარება განიხილეს.

ნატომ კვლავ დაადასტურა უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა.



# მაიკ კოენმა კონგრესში ახალი ჩვენება მისცა



ტრამპის ადვოკატმა მაიკ კოენმა კონგრესის მეთვალყურეობის კომიტეტს ჩვენება მისცა.

მან ტრამპს ყალთაბანდი და რასისტი უწოდა. კოენმა აღნიშნა, რომ ტრამპი მას ცრუ ჩვენების მიცემას აიძულებდა.

კოენი კონგრესშიც გამოვიდა. მან მისცა ახალი ჩვენებები, სადაც ადრე გამოთქმული ბრალდებები განავრცო. კერძოდ, კოენმა მოიტანა დამატებითი ფაქტები ტრამპის მიერ კანონის დარღვევის თაობაზე.

– მე მაქვს დოკუმენტები, რომლებსაც გამოძიებას წარმოვუდგენ, – თქვა კოენმა.

# ალჟირი: ვეტერანებმა პრეზიდენტის გადადგომას მხარი დაუჭირეს

ალჟირში გრძელდება დემონსტრაციები პრეზიდენტ ბუტეფლიკის გადადგომის მოთხოვნით.

ქვეყნის დედაქალაქში სტუდენტების მრავალათასიანი აქცია გაიმართა. დემონსტრანტები სკანდირებდნენ: „ბუტეფლიკი უნდა წავიდეს!“

ამას მხარი მოსახლეობის ფართო ფენებმაც დაუჭირეს.

ბუტეფლიკის გადადგომა ალჟირის დამოუკიდებლობისთვის ომის ვეტერანებმაც მოითხოვეს.

მათ 82 წლის პრეზიდენტს მოუწოდეს, არჩევნებში თავისი კანდიდატურა აღარ წამოაყენოს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**სხვადასხვა**

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმის პრობლემების მოშორება მცენარეული, უვნებელი პროდუქციით (თუნდაც საკვებში შერევით ფარულად), ფსიქოლოგიური, ლოცვითი და მცენარეული (ნაკურთხი) თერაპიით სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების მართვა-მკურნალობა (კუჭ-ნაწლავის, ნერვული და სხვა დაავადებები). ტელ: 599-45-66-88. ფსიქოლოგი, თერაპევტი ნინო ექიმი.

● მონასტრის ბერის მიერ მოწოდებული რეცეპტებით მცენარეული, არომატული და საკმევლის ზეთზე დამზადებული მალამოებით კანის პრობლემების მკურნალობა, ფსორიაზი, აკნე, ტროპიკული წყლული, ნეიროდერმიტი და სხვა, აგრეთვე კოსმეტიკური სამკურნალო სახის კანის მალამოები (ნაოჭების, მკვებავი და სხვა). ტელ: 599-45-88-66. ნინო ექიმი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● მკურნალობამამაკაცებისათვის:პროსტატიტი,ადენომა,ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ბერძენ-რომაელთა კიდევ 2 მედალი და გუნდური პირველი ადგილი



საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა 23-წლამდელთა ნაკრებმა სერბეთის ქალაქ ნოვი სადში გამართული ევროპის ჩემპიონატი 7 მედლითა (5 ოქრო, 1 ვერცხლი, 1 ბრინჯაო) და გუნდური პირველი ადგილით დაასრულა,

შეჯიბრების დასკვნით დღეს კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე რამაზ ზოიძე (72 კგ) ავიდა, რომელმაც რუსეთის წარმომადგენელ მაგომედ იარბილოვს 7:1 სძლია, ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონის ტიტული ზედიზედ მესამედ მოიპოვა და, ამასთან, ასაკობრივი ევროპირველობის გამარჯვებული კარიერაში მეხუთედ გახდა.

ფინალში გიორგი მელიამაც (97 კგ) იჭიდავა, თუმცა ვერცხლის მედალს დასჯერდა.

შეგახსენებთ, შეჯიბრების პირველ ფინალურ დღეს ევროპის ჩემპიონები ნუგზარ წურწუმია (55 კგ), ლევან ქავჟარაძე (63 კგ), გურამ ხეცურიანი (87 კგ) და ზვიად პატარიძე (130 კგ) გახდნენ, ბრინჯაოს მედალი კი ბექა მამუკაშვილმა (77 კგ.) მოიპოვა.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა 178 ქულა მოაგროვა და პირველობა არავის დაუთმო, მეორე რუსეთი (167) იყო, მესამე კი – თურქეთი (141).

# ხელბურთელთა ერთა თასს საქართველო უმასპინძლებს



საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი მცირედით გაეზარდა. საქმე ის არის, რომ ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვეტილება მიიღო, ერთა ჩემპიონატი, რომელშიც მსოფლიოს 12 ეროვნული ნაკრები მონაწილეობს, 2019 წლის 8-16 ივნისს თბილისში გაიმართება. ეს შეჯიბრება 2022 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიც არის.

12 მონაწილე ქვეყნიდან 6 ევროპული ნაკრებია: საქართველო, ბრიტანეთი, ბულგარეთი, ირლანდია, მალტა და აზერბაიჯანი. ამ 6 გუნდს შორის საუკეთესო ევრო 2022-ის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის, პლეიოფის საგზურს მიიღებს.

გარდა ამისა, ითამაშებენ ჩინეთი, ინდოეთი, ნიგერია და სამხრეთი ამერიკის ზონალური ტურნირის გამარჯვებული კოლუმბია. ჯერ გაურკვეველია 2 გუნდის ვინაობა – ჩრდილო ამერიკის ზონალური ტურნირის გამარჯვებულისა და კიდევ ერთი ნაკრების, რომელსაც საერთაშორისო ფედერაცია პერსონალურად მიიწვევს.

ჩემპიონატის მასპინძლობის მსურველი რამდენიმე იყო, მაგრამ ხელბურთის ბოსებმა მისი დიდი ხნის საიმედო პარტნიორი, საქართველოს ფედერაცია შეარჩიეს.

საქართველოში გაიმართა 2017 წლის ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი და 2 ასაკობრივი ევროპის ჩემპიონატი – 2016 და 2018 წლებში, მესამეს კი თბილისი 2019 წლის აგვისტოში მასპინძლობს. ყველა ამ ტურნირმა საერთაშორისო ფედერაციებისგან საორგანიზაციო კუთხით უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

# თბილისის დინამომ ბოლნისში წაიფორხილა, ვიტ ჯორჯია გოლს არ უშვებს

### სიონი-დინამო (თბ) 2:1

**ბოლნისი. თეიმურაზ სტეფანია**

**0:1 ივანისენია (28), 1:1 უგულავა (43პ), 2:1 ისიანი (69)**

**სიონი**: ზარქუა, თომაშვილი, ტვილდიანი, თარხნიშვილი, ხმალაძე, უგულავა (მანაგაძე 89), კირკიტაძე, სიხარულია (რაჟამაშვილი 68), ისიანი (ქიქავა 79), აფაქიძე, სუხიაშვილი

**დინამო**: სიკაჩი, რუხაია, მეჯუბი, მონხილი, ნოჩე (კობოური 75), ქარდავა, ივანისენია (პაპავა 59), შენგელია, შულაია (იაშვილი 46), კარბია, როხანო

**გაძევება**: რუხაია 41

ბოლნისში გამართული ჯახი 2 განსხვავებულ ტაიმად შეიძლება დაიყოს. თბილისელებმა მატჩის პირველ ნახევარში დიდი სათამაშო უპირატესობა მოიპოვეს და გოლის გატანაც არაერთხელ მართებდათ, თუმცა რამდენიმეჯერ თორნიკე ზარქუამ გადაარჩინა მასპინძელთა კარი, რიგ შემთხვევებში კი დინამოელთა შემტევებს დამაგვირგვინებელი დარტყმა არ გამოსდიოდათ.

ანგარიში დმიტრო ივანისენიამ შეხვედრის 28-ე წუთზე გახსნა. მან ლევან შენგელიას მიერ ჩამოწოდებულ კუთხურზე შეაგება ბურთს თავი. მანამდე ფრან კარბიამ ითამაშა ტექნიკურად, ბოლო წამს კი თორნიკე ზარქუამ იხსნა კარი. შემდეგ ანტონიო როხანოსაც მართებდა გოლის გატანა, არგენტინელმა ზედმეტი მოძრაობა გააკეთა და შანსიც გაუშვა ხელიდან. გატანილი გოლის შემდეგაც თბილისელებმა რამდენიმე მწვავე, მაგრამ უშედეგო შეტევა განახორციელეს.

ტაიმის ბოლოს კი დაცვაში დაშვებულ შეცდომას დინამოელთა კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი მოჰყვა და არბიტრმა გუნდის კაპიტანი გუჯა რუხაია მოედნიდან გააძევა. ჯაბა უგულავამ წონასწორობა აღადგინა და ტაიმიც დასრულდა.

მეორე ნახევარში ტერიტორიული უპირატესობა მასპინძლებმა მოიპოვეს, დინამო კი კონტრშეტევებით ცდილობდა ფონს გასვლას. 55-ე წუთისთვის მასპინძელთა მწვავე შეტევა და სტეფან სიკაჩმა მიჯრით 2 მომენტში იხსნა დინამოელთა კარი. საპასუხოდ ჯერ ანტონიო როხანომ ბადეს გარედან გაარტყა ბურთი, ბაქარ ქარდავას დარტყმული კი ზევიდან გადაევლო ბოლნისელთა კარის ხარიხას.

მატჩის 69-ე წუთზე ბოლნისელთა შეტევას დინამოელთა კარში ვილი ისიანის გოლი მოჰყვა.

ამის შემდეგ დინამოელები უფრო გააქტიურდნენ, მაგრამ შედეგი აღარ შეცვლილა, თუმცა ჯერ ვიქტორ მონხილს შეეძლო, უკეთ დარტყმა, ერთ მომენტში კი ლევან შენგელიას სახიფათო დარტყმული თორნიკე ზარქუამ უკუაგდო.

საბოლოოდ მატჩი ბოლნისელთა სასარგებლოდ, 2:1 დასრულდა.

### ჩიხურა-დილა 1:1

**თბილისი. მიხეილ მესხი**

**1:0 სარდალიშვილი (22პ), 1:1 ფორტესი (66პ)**

**ჩიხურა**: ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, კორიფაძე, მეგრელიშვილი, კაშია, მამასახლისი, მარკოზაშვილი, მახარობლიძე (იონანიძე 79), ლექვთაძე, სარდალიშვილი, ჩიხლაძე

**დილა**: გუგეშაშვილი, გიორბელიძე, მირცხულავა, სანტოსი, გრიგალაშვილი, ნონდი, ფორტესი (რაზმაძე 88), კუცია, ნონიკაშვილი, სპანდერაშვილი, პაიმი (ლემპტი 61)

თვალსასეირო მატჩი ნამდვილად არ გამოდგა. მართალია, 2 გოლი გავიდა, მაგრამ ორივე – პენალტით.

ჯერ ამოს ნონდიმ საკუთარ საჯარიმოში სარდალიშვილი წააქცია, რომელმაც თავად გამოიყენა თერთმეტ-



მეტრიანი, ხოლო მეორე ტაიმში საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ხელზე ირაკლი ლექვთაძეს მოხვდა და 11 მეტრიდან ალვინ ფორტესმა გაიტანა.

ეგ იყო და ეგ...

### რუსთავი-ვიტ ჯორჯია 0:0

**რუსთავი. ტექნიკური ცენტრი**

**რუსთავი: მამარდაშვილი, ტაკულოვი, ჯაფიაშვილი, ხუბუტია, ფონიავა, სილაგაძე, ჩოგაძე, ქოჩლაძე, ქავთარაძე, ციცქიშვილი, ყიფიანი (იმნაძე 61)**

**ვიტ ჯორჯია**: შეროზია, გაფრინდაშვილი, ლაცაბიძე, გეთიაშვილი, ჩაკვეტაძე, ჩიტიშვილი, მოსიაშვილი, კურდღელაშვილი (საჯაია 46), კაკაშვილი, ღუდუშაური (ვასაძე 58), მუსელიანი

**გაძევება**: ლაცაბიძე (43)

ვიტ ჯორჯია კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. „ვეტერინარებმა" ჯერ გორში დილას მოუგეს, ახლა კი, ასევე სტუმრად ფრე ითამაშეს რუსთავთან. არადა, სტუმრებისთვის ფეხბურთელი რომ არ გაეძევებინათ, ვინძლო, 3 ქულა კიდევ აეღოთ.

პირველი ტაიმში სტუმართა უპირატესობა ჩანდა, მაგრამ რეალურ მომენტამდე საქმე არ მისულა. საპასუხოდ რუსთავმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილი თემურ ჩოგაძე წააქციეს. მსაჯმა გიორგი ლაცაბიძე უკანასკნელი იმედის ჯარიმის გამო გააძევა. საჯარიმოდან კი, სილაგაძემ ბურთი ხარიხას გაარტყა.

პირველ ტაიმში საინტერესო მეტი არაფერი მომხდარა, მეორემ კი ორმხრივი შეტევებით ჩაიარა.

ძელს გაარტყა ბურთი ჩოგაძემ, ხოლო ვასაძე მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მომენტი ვერ გამოიყენა.

საბოლოოდ – 0:0.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ტორპედო | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 2.საბურთალო | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 3.ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 4.ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-4 | 3 |
| 5.დინამო (თბ) | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 6.სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 7.დილა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 8.ჩიხურა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 9.რუსთავი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 10.დინამო (ბთ) | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

# მანჩესტერი საოცრებებს აგრძელებს

### პსჟ-მანჩესტერი 1:3

**პარიზი. პარკ დე პრენსი**

**0:1 ლუკაკუ (2), 1:1 ბერნატი (12), 2:1 ლუკაკუ (30), 3:1 რეშფორდი (90)**

**პსჟ:** ბუფონი, კიმპემბე, სილვა, მარკინიოსი, ალვესი (კავანი 90), დი მარია, ვერატი, კერერი (პარედესი 70), დრაქსლერი (მუნიე 70), ბერნატი, მბაპე

**მანჩესტერი:** დე ხეა, ბაიი (დალოტი 35), ლინდელეფი, შოუ, სმოლინგი, მაკტომინი, ფრედი, პერეირა (ჩონგი 80), იანგი (გრინვუდი 87), ლუკაკუ, რეშფორდი

არ ვიცით, უიღბლო დავარქვათ თუ ლუზერი, მაგრამ ფაქტია, რომ პსჟ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე უცნაური გუნდია. გემახსოვრებათ, პარიზელებმა ერთხელ ბარსელონას შინ 4:0 მოუგეს და იმდენი მოახერხეს, რომ შემდეგ ეტაპზე მაინც ვერ გავიდნენ. მართალია, ამაში მსაჯიც წაეხმარათ, მაგრამ მაინც... ამჯერად კი სტუმრად 2:0 მოუგეს მანჩესტერს, მაგრამ, როგორც ჩანს, პსჟ-ს წყევლა საფეხბურთო ლოგიკაზე ძლიერია. ძალიან ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა, რომ მანჩესტერს შემდეგ ეტაპზე გასვლის თუნდაც მცირე შანსი ჰქონდა, რადგან ოლე გუნარ სოლსკიაერმა თითქმის განახევრებული შემადგენლობა ჩაიყვანა საფრანგეთის დედაქალაქში.

თუმცა, თავად ფრანგებიც არიან დამნაშავეები. მატჩის დასაწყისშივე კერერმა უხეში შეცდომა დაუშვა და ლუკაკუს გოლით მანჩესტერს შანსი გაუზარდა. მართალია, ბერნატმა მალევე აღადგინა წონასწორობა, მაგრამ „საქმეში" უკვე ბუფონი ჩაერია, რომელმაც რეშფორდის დარტყმული ხელში ვერ შეიმაგრა და ლუკაკუმ ამჯერადაც გამოიყენა თავისი შანსი. მატჩის ბოლოს კი სრულიად უწყინარ სიტუაციაში კარისკენ მიმავალი ბურთი გზად ხელზე მოხვდა კიმპემბეს და რეშფორდმა 11 მეტრიდან მეოთხედფინალში გამსვლელი გოლი გაიტანა.

გარდა ამ მომენტებისა, პარიზელები უგერგილო თამაშითაც გამოირჩნენ. თითქოს დარწმუნებულნი იყვნენ, რომ შემდეგ ეტაპზე გასული იყვნენ და ჩამორჩენის დროსაც კი არ ფიქრობდნენ, მანჩესტერელთა კარისკენ სერიოზულად შეეტიათ. მხოლოდ რეშფორდის გოლის შემდეგ მოუნდათ შტურმის მოწყობა, მაგრამ საამისოდ დრო არ ეყოთ.

ჰო, იუნაიტედმა ზედიზედ 21-ე გასვლით მატჩში გაიტანა გოლი და 1957 წელს დამყარებული თავისი საკლუბო რეკორდი გაიმეორა. გარდა ამისა, ის პირველი გუნდი გახდა, რო-



მელმაც პლეი-ოფში პირველი თამაშის 0:2-ზე წაგების მერე შემდეგ ეტაპზე გასვლა მოახერხა.

და კიდევ: გრინვუდი მანჩესტერის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელმაც ამ ტურნირზე ითამაშა – 17 წლის, 5 თვისა და 5 დღის.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – რომელუ ლუკაკუ

ზედიზედ მესამე მატჩია, ბელგიელი ფეხბურთელი 2 გოლზე ნაკლებით მოედნიდან არ გადის, მაგრამ პარიზში შესრულებული დუბლი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პრემიერლიგაში. სოლსკიაერის სათამაშო ტაქტიკაც სწორედ თავდამსხმელის საგოლე ალღოზე იყო აგებული. ლუკაკუმაც ეს გამოამჟღავნა და ორჯერ ბურთს ზუსტად იქ დახვდა, სადაც საჭირო იყო.

**ტომას ტუხელი:**

– მანჩესტერს 2 საჩუქარი გავუკეთეთ, რითიც ისარგებლეს. პირველი მიღებული გოლის შემდეგ ანგარიში გავათანაბრეთ და მატჩზე კონტროლი მოვიპოვეთ. მეორე ნახევარში ბევრი შანსი გვქონდა, მაგრამ სამწუხაროდ ვერ გამოვიყენეთ. თავისუფლად შეგვეძლო კიდევ 2 ან 3 გოლი გაგვეტანა, მაგრამ ასე არ მოხდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ იუნაიტედს ბევრი შანსი არ ჰქონია, თუმცა სასურველ შედეგს მაინც მიაღწიეს. სიმართლე გითხრათ არ მიგრძნია, რომ მეტოქეს მოგება სურდა. ჩვენ მატჩზე კონტროლი დავკარგეთ და ყველაფერი ამან გამოიწვია. მინდა, სოლსკიაერის გუნდს მოგება მივულოცო და წარმატებები ვუსურვო.

**ოლე-გუნარ სოლსკიაერი:**

– ეს ფანტასტიკაა. ჩვენ ამის გვჯეროდა. თამაში კარგად დავიწყეთ, სწრაფი გოლის გატანას ვიმედოვნებდით, მაგრამ არ გვეგონა, თუ ამას ასე მალე შევძლებდით. ამან თამაში გახსნა. 21 წლის რეშფორდმა გადამწყვეტი პენალტი გაიტანა. ის არ ნერვიულობდა, უშიშარია. ის და ლუკაკუ განუმეორებელნი იყვნენ. ეს ჩემპიონთა ლიგაა. მატჩის წინ რეალისა და აიაქსის გუშინდელ თამაშზე ვსაუბრობდით. ალბათ, პსჟ-შიც საუბრობდნენ ამაზე. იყო თუ არა თერთმეტმეტრიანი? გაწეული ხელით მცველმა სხეულის მოცულობა გაზარდა. ასე რომ, პენალტი იყო.

### პორტუ-რომა 3:1

**პორტუ. დრაგაო**

**1:0 სოარესი (26), 1:1 დე როსი (37პ), 2:1 მარეგა (53), 3:1 ტელესი (117პ)**

**პორტუ**: კასილიასი, მილიტანი, ფელიპე, პეპე, ტელესი, ოტავიო (ერნანი 94), ერერა, დანილუ, კორონა (ბრაიმი 69), მარეგა, სოარესი (ფერნანდო 78)

**რომა**: ოლსენი, კარსდორპი (ფლორენცი 55), მარკანო (კრისტანტე 76), მანოლასი, ჟუან ჟეზუსი, კოლაროვი, ძანოლო, დე როსი (პელეგრინი 45, შიკი 96), ნზონზი, პეროტი, ჯეკო

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## შედეგები

**6 მარტი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

პსჟ-მანჩესტერი ............................ 1:3
პორტუ-რომა ....................... (3:1დდ)

**ჩემპიონთა თასი**

არსენალი-ორენბურგი ............... 1:1
არსენალის გოლი გია გრიგალავამ გაიტანა
რუბინი-ლოკომოტივი ................ 0:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# მილიონერი თავისი ქალიშვილის ხელის მთხოვნელს ჯილდოს ჰპირდება

ტაილანდელი მილიონერი ჯილდოს ჰპირდება იმ მამაკაცს, რომელიც მის უმცროს ქალიშვილზე დაქორწინდება.

ტაილანდის ერთ-ერთი უდიდესი დურიანის პლანტაციის მფლობელი არნონ როდტხონგი ამტკიცებს, რომ ბიზნესის თავისი ქალიშვილის კარნსიტესთვის გადაცემას აპირებს, თუმცა ჯერ მისი გათხოვება სურს. შესაფერისი სასიძოს ძებნის თაობაზე განცხადება მილიონერმა სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნა.

გოგონას ხელისა და გულის მაძიებელი უნდა იყოს მუყაითი, შრომისმოყვარე, არ უნდა მოიხმარდეს ნარკოტიკებს, არ იყო გატაცებული აზარტული თამაშებით და უნდა ერკვეოდეს დურიანის მოყვანა-მოვლაში. როდტხონგი თავისი მომავალი სიძისთვის 10 მილიონი ბატის გადახდას აპირებს. გარდა ამისა, წყვილს მემკვიდრეობით გადაეცემა მისი დურიანის ბიზნესი, რომელიც მილიონობით დოლარად არის შეფასებული.



ერთ დღეში მილიონერმა ასეულობით განაცხადი მიიღო. გამარჯვებული გამოვლინდება ტურნირში, რომელიც 1 აპრილს გაიმართება, ხოლო რაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს პოტენციური სასიძოები, უცნობია.

# მილიარდერი სასქესო ორგანოს გადიდებას შეეწირა



პარიზში სასქესო ორგანოს გადიდების ოპერაციის დროს ბელგიელი მეწარმე ეხუდ ალი ლანიადო დაიღუპა.

დაღუპვის მიზეზი გულის შეტევა გახდა, რომელიც მას გენიტალიაში ინექციის შეყვანის შემდეგ დაეწყო. ექიმები 65 წლის მილიარდერის გადარჩენას ცდილობდნენ, თუმცა – უშედეგოდ. კომპანია ომეგა დიამონდსმა, რომელსაც ლანიადო ხელმძღვანელობდა, მისი გარდაცვალება დაადასტურა. სავარაუდოდ, გარდაცვლილ მილიარდერს მის სამშობლოში, ისრაელში დაასაფლავებენ.

ეხუდ ლანიადომ ქონება ძვირფასი ქვებით ვაჭრობით დააგროვა და ის დაუმუშავებელი ალმასების ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ შემფასებლად ითვლებოდა. 2015 წელს მილიარდერმა აუქციონზე უიშვიათესი ბრილიანტი, 12,03-კარატიანი „ჟოზეფინას ცისფერი მთვარე“ 48,4 მილიონ დოლარად გაყიდა. სხვა ქონების გარდა, მას ეკუთვნოდა ყველაზე ძვირადღირებული პენტჰაუსი მონაკოში, რომლის ფასი 35 მილიონი ევროა.

# ლომმა მასთან შესული პატრონი დაგლიჯა



ჩეხეთის ზლინსკის მხარის სოფელ ზდეხოვში ლომმა დაგლიჯა თავისი პატრონი, რომელსაც ის სახლის უკანა ეზოში გალიაში ჰყავდა დამწყვდეული.

34 წლის მიხალ პრასეკას ცხედარი მამამისმა ლომის გალიაში აღმოაჩინა. მისი თქმით, ვოლიერის კარი შიგნიდან იყო ჩაკეტილი.

ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა ცხრა წლის ხვადი ლომი და ასევე გვერდით გალიაში მყოფი ძუ ლომი დახოცეს. მათ ეს გადაწყვეტილებს იმით ახსნეს, რომ დაღუპულის ცხედარი გამოეტანათ.

პრასეკმა ხვადი ლომი – 2016 წელს, ხოლო ძუ 2018 წელს იყიდა. ის ცხოველების გამრავლებას აპირებდა, თუმცა მას მათი შენახვისთვის აუცილებელი ლიცენზია არ ჰქონია. ასევე ის დაჯარიმებული იყო ეზოში შეუთანხმებლად გალიების დადგმისთვის. სოფლის მცხოვრებლებს არაერთხელ გამოუხატავთ საკუთარი შეშფოთება სახიფათო მტაცებლების მეზობლობის გამო.

# ქალმა საკუთარი ანარეკლის დანახვაზე სარკე დაამტვრია



ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ უილმინგტონში დააპატიმრეს ქალი, რომელმაც ღამის კლუბის სარკეში საკუთარი თავის დანახვის შემდეგ სარკე დაამტვრია, მერე კი თავი პოლიციის თანამშრომლად გაასაღა.

28 წლის კრისტა ანსტეტი სარკეს იმ დროს გადააწყდა, როდესაც ღამის კლუბში ერთობოდა. საკუთარი გამოსახულების დანახვაზე მან სარკეს მუშტები დაუშინა. ამ ყოველივეს შედეგად დაწესებულებას დაახლოებით 1,6 ათასი დოლარის ზარალი მიადგა.

როდესაც შემთხვევის ადგილზე შერიფის თანაშემწეები მივიდნენ, ანსტეტმა მათ კაროლინის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის ნიშანი წარუდგინა. პოლიციის თანამშრომლებმა გაარკვიეს, რომ ქალს მისი ტარების უფლება არ ჰქონდა და ნიშანი ჩამოართვეს. ამის შემდეგ ქალი აგრესიაზე გადავიდა.

დაკავების შემდეგ ანსტეტს სხვისი ქონების დაზიანების, თავის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლად გასაღებისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდება წაუყენეს.

# ბავშვი ხარების ჩლიქებს სასწაულებრივად გადაურჩა

ინდოეთის მადხია-პრადეშის შტატის ქალაქ კარერაში პატარა ბიჭი ქუჩაში მორბენალი ხარების გზაზე აღმოჩნდა.

ხარები ოთხი წლის კანხაისკენ მიქროდნენ, როდესაც ის სახლის წინ, ქუჩაში თამაშობდა. ბავშვმა ცხოველები შენიშნა და შეეცადა, მათთვის თავი აერიდებინა, თუმცა ვერ მოასწრო. რამდენიმე ხარმა გვერდით ჩაუქროლა, ხოლო ერთი ბავშვის წინ შეჩერდა ისე, რომ მას არ შეხებია. ბიჭი ამ ინციდენტის შედეგად არ დაშავებულა.

კანხაის დასახმარებლად გამვლელები მიცვივდნენ, რომელთაც შენიშნეს, რომ ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.

– ქუჩებში ყოველდღე უამრავი უპატრონო ცხოველი დადის, მაგრამ ასეთ რამეს აქამდე არასოდეს შევსწრებივართ, – განაცხადა ადგილობრივმა მკვიდრმა ანი შრივატსავამ, – ხელისუფლებამ უნდა გააკონტროლოს ეს ცხოველები, რომლებიც ადამიანებს საფრთხეს უქმნიან.




**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

დასაწყისი მე-9 გვერდზე

# მანჩესტერი საოცრებებს აგრძელებს

ძალიან დაძაბული ორრაუნდიანი ჯახი გამოდგა. პორტუგალიური მატჩის წინ ორივე გუნდის შანსი თანაბარი ჩანდა. მატჩის მიმდინარეობის დროსაც არ შეცვლილა ეს მოცემულობა და ძირითადი დროის ბოლოს ვის მხარეს გადაიხრებოდა სასწორის პინა, არავინ იცოდა. თუმცა, მხოლოდ დამატებითი დროის ბოლოს გაიხსნა კვანძი.

პორტუ შინაურ კედლებში უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე რომში. თუმცა, ეს მარტო ადგილობრივი გულშემატკივრების დამსახურება არ იყო – გუნდს დაუბრუნდნენ კორონა და მარეგა, რომლებმაც „ოლიმპიკოზე“ შეხვედრა გამოტოვეს. ამ 2 ფეხბურთელის მონდომების ხარჯზე პორტუგალიელები შეტევაში უკეთ გამოიყურებოდნენ.

ანგარიში 26 წუთზე გაიხსნა – ტაბლოზე სოარესის გვარი აკიაფდა. ერთია, რომაელებმა მალევე მოახერხეს გათანაბრება: პეროტიმ პენალტი გამოიმუშავა, ხოლო დე როსიმ ზუსტად შეასრულა.

პორტუმ მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეძლო იმ გოლის გატანა, რომელიც შედარებით დაამშვიდებდა. 2:1 ის ანგარიში იყო, რაც რომში დაფიქსირდა, ამიტომ გუნდებმა უფრო ფრთხილი თამაში განაგრძეს. ერთია, პორტუს უფრო ჰქონდა შანსი გოლის გატანის, ვიდრე რომაელებს.

დამატებით დროში სიტუაცია შეიცვალა – აქ უკვე ჯეკოს მართებდა გატანა, რომელიც მეოთხედფინალში გასასვლელ მწვანე შუქს რომას აუნთებდა, მაგრამ ბოსნიელმა ფეხბურთელმა თავისი მომენტი ვერ გამოიყენა.

სულ ბოლოს კი ფლორენციმ საჯარიმოში ფერნანდო წააქცია. არადა, ამის საჭიროება ნამდვილად არ იყო. ჰოდა, ტელეშმა 11 მეტრიდან თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა და პორტუ შემდეგ ეტაპზე გაიყვანა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – მუსა მარეგა

სხვა პორტუ გამოიყურებოდა შეტევაში მარეგასთან და კორონასთან ერთად. ორივე მათგანმა დიდი წვლილი შეიტანა პორტუგალიური კლუბის წარმატებაში. ჩვენ უფრო მარეგა გამოვყავით – მაღალი ფეხბურთელი გოლითა და საგოლე პასით გამოირჩა.

**სერჟიო კონსეისაო:**

– მადლობა ფეხბურთელებს. გვჯეროდა, რომ შემდეგ ეტაპზე გავიდოდით. კონცენტრაცია მხოლოდ ერთხელ დავკარგეთ, მაგრამ ყველაფერი მალევე გამოვასწორეთ. შემდეგ ეტაპზე დამსახურებულად გავედით. ახლა თამამად შეგვიძლია ვიფიქროთ მეოთხედფინალში მეტოქეზე.

ეუსებიო დი ფრანჩესკო კი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა, რომელიც, უეფას წესებით, სავალდებულოა. სავარაუდოდ, იტალიელ სპეციალისტს გვარიანი ჯარიმა ელის, რადგან ასეთ ღონისძიებაზე გამოუცხადებლობა ჟურნალისტებისა და მონაწილე გუნდების შეურაცხყოფას ნიშნავს.

# ასტროპროგნოზი

## 8 მარტისთვის



**ვერძი** – წინააღმდეგობრივი დღეა. დილით თქვენი გეგმების რეალიზებას ადვილად შეძლებთ. საღამოს არასასურველი ტენდენციები მძლავრობს. **კურო** – დიდი ყურადღება მიაქციეთ ჯანსაღ კვებას. იყავით წინდახედული და დაპირება შეასრულეთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობის მდგომარეობა მაინცდამაინც სახარბიელო არ არის. დღეს ყოველგვარი კომერციული გარიგება გამორიცხეთ. **კირჩხიბი** – წვრილმანი საოჯახო პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. ბავშვებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **ლომი** – წარმატება მხოლოდ თქვენს სიმშვიდესა და თავშეკავებაზეა დამოკიდებული. იყავით მამაცი. **ქალწული** – საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა იდეალურად გამოგივათ. ერიდეთ კამათს ახლობელთან. **სასწორი** – წარმატება გელით შემოქმედებით სფეროში მუშაობისას. საღამო მყუდრო გარემოში გაატარეთ. **ღრიანკალი** – გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ სტუმრების გამასპინძლება. **მშვილდოსანი** – ილუზიებს არ აჰყვეთ. დაპირებების გაცემისგან თავი შეიკავეთ. **თხის რქა** – გლობალურ მიზნებს ნუ დაისახავთ. დღეს მხოლოდ წვრილმანი საქმეებით დაკავდით. მოვლენები მოულოდნელად იცვლება. **მერწყული** – ფინანსებს გაუფრთხილდით. დიდია გაუთვალისწინებელი ხარჯების ალბათობა. **თევზები** – ნებისმიერ საქმეს შემოქმედებითად მიუდექით. ენერგიას ფუჭად ნუ დახარჯავთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. საბურთაო ჩოგნის ძველი ქართული სახელწოდება; 2. მთიდან დაცურებული თოვლის დიდი მასა; 3. სოფელთა სახელწოდება ესტონეთში; 5. საორიენტაციო, სასიგნალო ნაგებობა ზღვის სანაპიროზე; 6. მაგარნაჭუჭიანი ხილი; 7. სახელგანთქმული ექიმის ძველებური სახელწოდება; 11. მარწყვის ერთ-ერთი სახეობა; 13. მდინარე კახეთში; 14. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 15. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 16. სამხედრო ადმინისტრაციული ერთეული ძველად საქართველოში; 17. ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში; 19. დროის დიდი მონაკვეთი; 20. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი.

**თარაზულად:** 1. საცხოვრებლად განკუთვნილი შენობა სამხედრო ნაწილში; 4. დიპლომატიური წარმომადგენელი; 8. დიდი ფართობის ვენახი; 9. ეგრისის მთავარი მეექვსე საუკუნეში; 10. ესპანური გრძელი, დასაკეცი ჯიბის დანა; 12. გერმანული ლუდი; 14. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 15. ებრაული სამლოცველო; 16. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა; 18. ქალის ძვირფასთვლებიანი სამკაული; 21. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 22. შაქრითა და ხილის წვენით დამზადებული აღმოსავლური ტკბილი სასმელი; 23. გიორგი კობახიძის მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პალანგა; 2. იუდოფილი; 3. არაბული; 5. შვეიცერი; 7. თავხედი; 9. რევოკაცია; 13. ლიბრეტო; 15. მცხეთა; 16. სტამბა; 18. გრილი.

**თარაზულად:** 4. ნაკაშიძე; 6. სკუდიერი; 8. კამბეჩოვანი; 10. ლახვარი; 11. ვალი; 12. მდოგვი; 14. ამური; 17. ბასფი; 19. ლხინი; 20. იმბეცილი; 21. არვე; 22. საბურთალო; 23. ვიმპელი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სვინგი; 2. სინდი; 3. რახი; 5. მულამი; 6. სიონი; 7. კოპელია; 11. რეიმსი; 13. ხრიდოლი; 14. კროსი; 15. კაპრალი; 16. დოპინგი; 17. ჯულეპი; 19. ატაშე; 20. დოჟი.

**თარაზულად:** 1. სასწორი; 4. მაგმა; 8. ხეობა; 9. ლადო; 10. ნადური; 12. ლეჩხუმი; 14. კამო; 15. კაბოშონი; 16. დიორი; 18. სარმა; 21. ლობიო; 22. გორჟეტი; 23. შეპარდი.

# ოკუპაციის მუზეუმში ნიკა რურუას ხსოვნას კონცერტი მიეძღვნება

კულტურის ყოფილი მინისტრის ნიკა რურუას ხსოვნას საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში კონცერტი მიეძღვნება.

ნიკა რურუას მიერ დაარსებულ მუზეუმში კონცერტს მუსიკოსი ლევან ცხადაძე საქართველოს სინფონიეტასთან ერთად 13 აპრილს გამართავს:

– 13 აპრილს საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში საქართველოს სინფონიეტასთან ერთად შევასრულებ რამდენიმე ნაწარმოებს.



კონცერტს ვუძღვნით ჩვენს მეგობარს, მასწავლებელს, ინოვატორს, მწიგნობარს, პატრიოტსა და კულტურის დიდ ქომაგს ნიკა რურუას, რომელიც ასევე საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის დაარსების იდეის ავტორი იყო და საქართველოს სინფონიეტას დაარსებაში ერთ-ერთი მთავარი მონაწილე მისი კულტურის მინისტრობის დროს.

# ნინო სურგულაძე მამუკა ხაზარაძეს ხელშეწყობისთვის მადლობას უხდის



ოპერის მომღერალი ნინო სურგულაძე მამუკა ხაზარაძეს ხელშეწყობისთვის მადლობას უხდის და იმ წლებს იხსენებს, როდესაც მას, როგორც დამწყებ მომღერალს, ბიზნესმენი დაეხმარა:

– 90-იანებში, როგორც გახსოვთ, 4 პრემია ავიღე ბარსელონის საერთაშორისო ვოკალურ კონკურსზე, სადაც 40 ქვეყნიდან იყვნენ ასობით წარმომადგენლები, მომღერლები და, რომ არა მამუკა ხაზარაძე, რომელიც პირველი იყო გვერდში მდგომთაგან, არაფერი გამოვიდოდა, რადგან სწორედ ბარსელონამ მომცა ლა სკალას აკადემია და სხვა დიდი და მნიშვნელოვანი ასპარეზი. არ მიცნობდა პირადად და პირველივე სატელეფონო საუბრის შემდეგ გადაწყვიტა, გვერდით დამდგომოდნენ ის და თავისი მეგობრები. არასოდეს დამავიწყდება ეს სიკეთე!

მამუკა ხაზარაძე მუდამ გვერდით უდგას ნიჭიერ ადამიანებს, ხელოვნებასა და სიკეთეს!

# ალექსანდრე ჯულაყიძემ ისრაელში ახალი გამარჯვება მოიპოვა



ახალგაზრდა ქართველმა პიანისტმა ალექსანდრე ჯულაყიძემ ისრაელში კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა.

იერუსალიმის ერთ-ერთ მუსიკალურ ცენტრში გაიმართა პიანისტის სოლო კონცერტი. ქართველმა ხელოვანმა კონცერტზე შეასრულა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის ორი საფორტეპიანო სონატა, ფრედერიკ შოპენის ბალადა და ორი პოლონეზი.

ეს კონცერტი ერთდროულად მისი საგამოცდო შესრულებაც იყო, რომელსაც საერთაშორისო რანგის ოთხი მაესტრო აფასებდა. ოთხივემ ქართველ პიანისტს უმაღლესი – 100 ქულა მიანიჭა. ალექსანდრე ჯულაყიძემ გასულ წელს ისრაელის საფორტეპიანო კონკურსში პირველი ადგილი დაიკავა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# როგორ გახდა სოფო ბათილაშვილი ვეგეტარიანელი?



მომღერალ სოფო ბათილაშვილს ყოველი გაზაფხულის შემობრძანება იმ პერიოდს ახსენებს, როცა ვეგეტარიანელი გახდა:

– შემობრძანდა გაზაფხული და შემოაბრძანა ჩემი ვეგეტარიანელობის მეოთხე წელიც.

ცხოველები ადრეც მიყვარდა. ერთ მშვენიერ დღეს დავიბენი, ერთი ცხოველი თუ სახლში გვყავს და ვეფერებით, მეორეს რატომ ვკლავთ და ვჭამთ?!...

ხორცის მირთმევა სასიამოვნოზე სასიამოვნო იყო, ვიდრე გავიაზრებდი, რა იდო თეფშზე – მომზადებული მკვდარი სხეული.

ბუნებასთან ჰარმონიაში თანაცხოვრების განცდა მაჩუქა მნიშვნელოვანმა გადაწყვეტილებამ, უარი მეთქვა ჩემი მაშინდელი ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილზე – ხორცით კვებაზე. ასეთია ეს მოკლედ მოყოლილი გრძელი ამბავი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ქლოი კარდაშიანი ღალატში ტრისტან ტომპსონს ადანაშაულებს



ტელევარსკვლავმა და მეწარმე ქლოი კარდაშიანმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ ვის ადანაშაულებს ის კალათბურთელ ტრისტან ტომპსონთან დაშორებაში, რომელმაც მას ჯორდინ ვუდსთან უღალატა.

მისი თქმით, ის მთელ პასუხისმგებლობას ყოფილ შეყვარებულს აკისრებს.

– არ ვიცოდი, ამაზე როგორი რეაგირება მომეხდინა. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ეს უბრალოდ არ უნდა მომხდარიყო, – აღნიშნა კარდაშიანმა.

მან ასევე დაამატა, რომ ამ ყოველივეში ვუდსი დამნაშავე არ არის, თუმცა მანამდე ის ამის საპირისპიროს აცხადებდა.

# ქალი შეეცადა, პითონს კენგურუს გადაყლაპვაში დახმარებოდა



ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ მიშნ-ბიჩის მცხოვრები ქალბატონი შეეცადა, დახმარებოდა პითონს, რომელიც კენგურუს გადაყლაპვას ცდილობდა.

ლიზა დილანმა ბაღში პითონი იმ დროს შენიშნა, როდესაც სახლს მანქანით მიუახლოვდა.

– მანქანა გავაჩერე და ახლოს მივედი მის სანახავად, – ყვება დილანი, – შორიდანაც შესამჩნევი იყო, რომ ეს იყო პითონი.

ქვეწარმავალმა კენგურუ-ვალაბი გაგუდა და ახლა უკვე მის გადაყლაპვას ცდილობდა. ეს პროცესი რამდენიმე საათი გრძელდებოდა.

– იმ დროისთვის დაცხა და გველის მიმართ სიბრალულის გრძნობა გამიჩნდა, – აცხადებს ავსტრალიელი ქალბატონი, – ის ისე წვალობდა.

ქალმა გადაწყვიტა, რეპტილიას დახმარებოდა, მან დიდი ქოლგა მიიტანა და მიწაზე ისე დადო, რომ გველი მის ჩრდილში მოქცეულიყო.

ქალი ადგილზე საათ-ნახევრის შემდეგ დაბრუნდა და აღმოაჩინა, რომ პითონი გამქრალიყო, ხოლო ბალახზე მკვდარი კენგურუ ეგდო. როგორც ჩანს, ქვეწარმავლისთვის ჩანთოსანი ცხოველი მეტისმეტად დიდი ზომის აღმოჩნდა და ამიტომ მისი გადაყლაპვა ვერ მოახერხა.

# ბრიტანეთის პრინცესა ბეატრისს ახალი ბოიფრენდი ჰყავს



დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ის შვილიშვილი, პრინცესა ბეატრისი, საზოგადოებაში 24 წლის მილიონერ ედოარდო მაპელი მოცისთან ერთად გამოჩნდა.

წყვილს ფოტოსურათი ლონდონში რესტორან Chilten Firehouse-დან გვიან ღამით გამოსვლის დროს გადაუღეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 29 წლის ბეატრისი მილიონერ მოცის 2018 წლის დეკემბრიდან ხვდება.

# იაპონელმა შეცდომით ურნა, რომელშიც მეუღლის ფერფლი ინახებოდა, სექსსათამაშოებით მორთო

იაპონელმა აღმოაჩინა, რომ სექსსათამაშოთი მორთეს საკურთხეველი, რომელზეც მისი ბებიის ფერფლით სავსე ურნა იდგა.

მისი თქმით, ამის შესახებ მაშინ გახდა მისთვის ცნობილი, როდესაც მშობლების მოსანახულებლად იყო ჩასული. როგორც გაირკვა, სექსსათამაშო, რომელიც მას ყოფილმა კოლეგებმა ხუმრობით აჩუქეს, მისმა ბაბუამ იპოვა. მან ის ვაზას დაამსგავსა და ურნის გვერდით დადგა, რომელშიც მისი გარდაცვლილი მეუღლის ფერფლი ინახებოდა.



სავარაუდოდ, მოხუცი მამაკაცისთვის უცნობი იყო ამ საგნის ნამდვილი დანიშნულება. ახალგაზრდის თქმით, მას მოერიდა ბაბუისთვის იმის ახსნა, თუ რა საგანი აქცია ვაზად. მან, უბრალოდ, სექსსათამაშო აიღო და გადააგდო.

# ძაღლმა საკუთარი სიცოცხლის ფასად ოჯახი შხამიანი გველისგან გადაარჩინა

ინდოეთის ოდიშას შტატის ქალაქ ბხუბანეშვარში ძაღლმა თავისი პატრონის სახლის ეზოში შხამიანი გველი დაგლიჯა, თუმცა თავადაც დაიღუპა.

წლინახევრის დალმატინის, სახელად ტაისონის პატრონმა ამინ შარიფმა განაცხადა, რომ ძაღლის ყეფამ დაახლოებით ღამის ორ საათზე გააღვიძა. ძაღლმა შხამიანი გველი სახლის შესასვლელიდან რამდენიმე მეტრში აღმოაჩინა და თავს დაესხა. მან ქვეწარმავლის დაგლეჯა მანამდე მოასწრო, სანამ პატრონი მათ ორთაბრძოლაში ჩაერეოდა.



გველის მოკვლისთანავე ტაისონი ცუდად გახდა. შარიფმა საყვარელი ცხოველი დაათვალიერა და მის ცხვირთან გველის ნაკბენი შენიშნა. მან დაუყოვნებლივ გველებზე მონადირეთა ცხელ ხაზზე დარეკა. სპეციალისტმა სუბხენდუ მალიკმა რეპტილიაში ინდური კობრა ამოიცნო, რომლის ერთ გრამ შხამს 140 ძაღლის მოკვლა შეუძლია. მალიკმა ძაღლის პატრონს ურჩია, შხამის საწინააღმდეგო წამლისთვის დაუყოვნებლივ ვეტერინარისთვის მიემართა.

მამაკაცმა ყველა ვეტერინარულ საავადმყოფოში დარეკა, მაგრამ გვიანი დროის გამო ყველა მათგანი დაკეტილი იყო. გველთან შეტაკებიდან ნახევარ საათში ტაისონი დაიღუპა.

# ზვიგენმა მეთევზე კინაღამ უხელოდ დატოვა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სანაპიროსთან ზვიგენმა დაკბინა მეთევზე, რომელიც მის დახმარებას ცდილობდა.

დაახლოებით 2,5 მეტრი სიგრძის ზვიგენი შემთხვევით ტრაულერის ბადეში აღმოჩნდა, რომელიც თევზის რეწვით იყო დაკავებული ქალაქ პორტ-ელიზაბეტიდან 55 კილომეტრში. 46 წლის მეთევზე მტაცებელ თევზს მიუახლოვდა, რათა ის ბადიდან გაეთავისუფლებინა, მაგრამ ამ დროს ზვიგენი მას კბილებით მარცხენა მხარსა და წინამხარში ჩააფრინდა.

მეთევზეებმა დაშავებულს ჭრილობა შეუხვიეს, ზვიგენი კი გაუშვეს. გემმა სანაპიროს მომხდარის შესახებ აცნობა და გეზი პორტ-ელიზაბეტისკენ აიღო. მიუხედავად ქარიშხლისა, გემისკენ ძრავიანი ნავით მაშველები და ექიმები გამოემგზავრნენ. დაკბენილი მეთევზე საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა სტაბილურია.



**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

8 მარტისთვის

აშშ დოლარი — 2.6810

ევრო — 3.0298

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5202

100 რუსული რუბლი — 4.0709

## ამინდის პროგნოზი 8 მარტისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“



26 თებერვლიდან

თედო რაზიკაშვილი

მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი



5 მარტიდან

ჟიულ ვერნი

იდუმალი კუნძული

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

1 მარტიდან

შოდერლო დე ლაკლო

სახიფათო კავშირები

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




## ლედი გაგამ თამუნა ინგოროყვას კაბაში იპოზიორა



ოსკარის მფლობელმა მომღერალმა ლედი გაგამ ქართველი დიზაინერის თამუნა ინგოროყვას შავ კაბაში იპოზიორა.

კაბა მომღერალმა დიზაინერის უახლესი კოლექციიდან შეარჩია და მასში გადაღებული ფოტო ინტერნეტში გაავრცელა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ლედი გაგას თამუნა ინგოროყვას სამოსი აცვია. რამდენიმე თვის წინ მან თამუნას კოსტიუმიც მოიხდინა და ფოტოსესიიდან რამდენიმე სურათი ინტერნეტში გაავრცელა. ლედი გაგა კარგად იცნობს ქართველი დიზაინერების შემოქმედებას და, თამუნა ინგოროყვას სამოსის გარდა, ავთანდილისა და გიორგი ქებურიას ნამუშევრებსაც ხშირად იცვამს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იუმორი

გიგი სკოლაში შარვალკოსტიუმსა და ჰალსტუხში გამოწყობილი მივიდა. თავის საკლასო ოთახის კარი გააღო და მასწავლებელს მიმართა:

– გამარჯობათ, პატივცემულო მასწავლებელო.

გაოგნებულ მასწავლებელს წიგნები და ჟურნალი ხელიდან გაუვარდა, შემდეგ კი უპასუხა:

– წადი, შენი დედა...

●●●

კაცი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, კიდევ 40 წელი ვიცოცხლებ?

– ეგ სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგალითად, მეგობრებთან ერთად თუ ქეიფობთ?

– არა, არასოდეს.

– და მარტო სვამთ?

– არა, რას ამბობთ!

– ეწევით?

– არა, ექიმო! ცხოვრებაში არ მომიწევია.

– ქალებში თუ დადიხართ?

– არა!

– აბა, მაშინ რა ჩემ ფეხებად გინდა კიდევ 40 წლის სიცოცხლე?!

●●●

მილიონერს თავისი ერთადერთი ქალიშვილი გაეპარა. მთელი დღის უშედეგო ძებნის შემდეგ საღამოს შვილმა დაურეკა და ეუბნება:

– მამა, ერთი ბიჭი მიყვარდა და ცოლად გავყევი.

– კარგი, შვილო, რაღა გაეწყობა და მოიყვანე და გამაცანი ეგ შენი რჩეული.

მეორე დღეს ქალიშვილი შეყვარებულთან ერთად შეხვდა მამას. კაცმა სიძეს ხელი ჩამოართვა და შემდეგ ეკითხება:

– ეგ ნაბიჯი რომ გადადგი, რაიმე ხელობა თუ გაქვს, თავი რომ ირჩინო?

– არა.

– მერე რას ფიქრობ?

– ღმერთი მომცემს.

– კარგი და სახლი თუ გაქვს, სადაც ჩემს ქალიშვილთან ერთად იცხოვრებ?

– არა, მაგრამ ღმერთი მომცემს.

– მანქანა თუ გყავს?

– არა, ღმერთი მომცემს.

– კარგი, ყველაფერი გასაგებია, – კაცმა ბიჭს ხელი ისევ ჩამოართვა, მერე კი ქალიშვილთან მივიდა და ეუბნება:

– არა, ცუდი ბიჭი არ არის, კარგი შეხედულებისაც არის, მაგრამ ყველაზე მეტად ის მომეწონა, ღმერთს რომ მეძახდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კაილი ჯენერი ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერია



რეალიტი-შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ მონაწილე და საკუთარი კოსმეტიკური ბრენდის დამფუძნებელი კაილი ჯენერი მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი ქალი გახდა.

2018 წლის დეკემბერში ფორბსმა 21 წლის კაილი ყველაზე შეძლებული ამერიკელების სიაში შეიყვანა. მისი ქონება მაშინ 900 მილიონ დოლარად იყო შეფასებული.

ახლა უკვე ჟურნალმა ჯენერის ქონება 1 მილიარდ დოლარად შეაფასა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯენერმა სოციალურ ქსელ ფეისბუქის დამფუძნებელ მარკ ცუკერბერგის რეკორდი მოხსნა, რომელიც მილიარდერი 23 წლის ასაკში გახდა.

თავად ჯენერი აღიარებს, რომ საკუთარ წარმატებას დიდწილად სოციალურ ქსელებს უმადლის. ინსტაგრამში, ტვიტერსა და ფეისბუქში მას 175 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნეიმარი და ოუენი: „პენალტი არ იყო“






მანჩესტერ იუნაიტედთან ფიასკოს შემდეგ პსჟ-ს ბრაზილიელმა ვარსკვლავმა ნეიმარმა წაგება მსაჯებს დააბრალა და თქვა, რომ დამხმარე არბიტრებს ფეხბურთის არაფერი გაეგებათ. ნეიმარი დარწმუნებულია, რომ პენალტი არ იყო:

– ოთხი მსაჯი განმეორებაზე უყურებდა და მათ მაინც დანიშნეს პენალტი. კიმპემბეს ხელები უნდა მოეჭრა, რომ ბურთი მას არ მოხვედროდა. მას საერთოდ არ ჰქონდა ხელით თამაში განზრახული. მსაჯებს ფეხბურთში არაფერი გაეგებათ, – განაცხადა ნეიმარმა.

ლივერპულისა და მანჩესტერ იუნაიტედის ლეგენდა მაიკლ ოუენმაც იგივე თქვა.

მისი აზრით, მომენტი საკამათო იყო და ასეთ დროს თერთმეტმეტრიანი არ უნდა ინიშნებოდეს.

– ამ მომენტს რამდენჯერმე ვუყურე და ვფიქრობ, რომ მსაჯს თავი უნდა შეეკავებინა. მიუხედავად ამისა, მიხარია მანჩესტერის წარმატება და, იმედი მაქვს, ის კიდევ უფრო შორს წავა, – განაცხადა მაიკლ ოუენმა.

პსჟ-მ საკუთარ მოედანზე მანჩესტერ იუნაიტედთან 1:3 წააგო და ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა.

## რეალი იურგენ კლოპის კანდიდატურაზეც ფიქრობს



მადრიდის რეალი ახალი მწვრთნელის ძიებაშია. სანტიაგო სოლარი გუნდში სეზონის ბოლომდე დარჩება, შემდეგ კი, სავარაუდოდ, თავის პოსტს დატოვებს.

რეალი მის მაგივრად რამდენიმე კანდიდატურას განიხილავს და ერთ-ერთი მათგანი იურგენ კლოპია, თუმცა კლოპის დაყოლიება რეალს გაუჭირდება, რადგან კლოპი მინიმუმ რამდენიმე წელიწადი არ აპირებს ლივერპულის დატოვებას.

რეალი ასევე აქტიურად განიხილავს ჟოზე მოურინიოს კანდიდატურას, რომელიც რეალში 2010-13 წლებში მუშაობდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ხალხური თქმულება; 2. ჩინეთის ისტორიის, კულტურის, ენის, ეკონომიკის შემსწავლელი მეცნიერი; 3. სითხის, ორთქლის ან იარის ხარჯვის სარეგულაციო სარქველი; 5. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 9. ყველაზე წყალუხვი ტბა საქართველოში; 13. რომან „კრაზანას“ ავტორი; 15. ოთხშაბათის ძველი ქართული სახელწოდება; 16. გამოქვაბული ანუ...; 18. ბელგიის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის“ ფეხბურთელი.

**თარაზულად**: 4. ქართველი მხედართმთავარი, მარშალი; 6. ყველისგულიანი მჭადი; 8. ლტოლვილთა, ემიგრანტთა დაბრუნება სამშობლოში; 10. აეროპორტი სანკტ-პეტერბურგში; 11. ტელეფონის გამომგონებელი შოტლანდიური წარმოშობის ამერიკელი მეცნიერი; 12. კომბინაცია პოკერში; 15. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 17. მეცნიერულ გამოკვლევაში გამოყენებული საბუთი; 19. ზღვის დიდი კიბორჩხალა; 20. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 21. ტიბეტური ხარი; 22. ისტორიული ქალაქი-სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 23. კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

